კვირეული ბიულეტენი „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№95 (990) 8 – 9 ოქტომბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

უკანონო აბორტისთვის ექიმს 5 წლით პატიმრობა ემუქრება

რატომ მკაცრდება კანონი აბორტების შესახებ და გადაჭრის თუ არა ახალი რეგულაცია დემოგრაფიულ პრობლემას გვ. 6

ექსკლუზიური ინტერვიუ კახა კალაძესთან

„პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის ურთიერთობა აუცილებლად უნდა დალაგდეს, რადგან პირველ რიგში, ქვეყნის იმიჯისთვისაა ცუდი. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შეიტანოს წვლილი ამაში, რადგან ასეთი დამოკიდებულება და გაუგებრობა სამუშაო პროცესში ხელს გვიშლის. თუმცა ეს ყველაფერი ახალმა კონსტიტუციამ გამოიწვია... ნახევრად საპარლამენტო ქვეყანა ვართ. თუ ადრე ერთ კაცზე იყო ყველაფერი დამოკიდებული, ახლა ძალაუფლება გადანაწილებულია“

„გუდვილის“ მეწილეობით არ ვარ დაინტერესებული. საკუთარი ბიზნესი მაქვს, რაზეც ყოველთვის ღიად ვსაუბრობ. ნორმალური შემოსავალი მაქვს, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებშიც...“

გვ. 3–4

„ზამთრისთვის ვემზადებით. არანაირი პრობლემა არ არის. დენი ხშირად იმიტომ ითიშება, რომ ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ეს ზაფხულში უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის გამო, სამუშაოები თვენახევრის დაგვიანებით დავიწყეთ და წლის ბოლომდე დავასრულებთ“

ენერგეტიკის მინისტრი ყველა კითხვასა და ბრალდებას პასუხობს

ნიკა რურუა აქტიურ პოლიტიკაში ბრუნდება?!

მარგველაშვილი, აღასანია, ვასაძე — ვის განიხილავს მოძრაობა „ივერიის“ დამფუძნებელი პოლიტიკურ მოკავშირედ

გვ. 5–6

ბაჩო ახალაია ბავშვობის მეგობარი „უკანასკნელი ქურდი“

როგორ მალავდნენ ზონებზე ძებნილ და გამოძალვის მიზნით გაფაცებულ ადამიანებს გვ. 7

ეროვნული მუზეუმი

ირმა ინაშვილი: „მალე ინტერპოლი სააკაშვილზე ძებნას გამოაცხადებს“

პუტინისგან შვილის გაჩენა ყველა ქალს შეუძლია

რუსი დეპუტატის ახალი ინიციატივა — რუსეთის პრეზიდენტის სპერმას მსოფლიოს ქალბატონები ფოსტით მიიღებენ გვ. 2

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ სისხლის ბანკის/პლაზმაცენტრისა და შესაფუთი მასალის წარმოებას თანადაფინანსებას გაუწევს გვ. 8

პუტინისგან შვილის გაჩენა ყველა ქალს შეუძლია

რუსი დეპუტატის ახალი ინიციატივა — რუსეთის პრეზიდენტის სპერმას მსოფლიოს ქალბატონები ფოსტით მიიღებენ

ვაი მას, ვისაც იმედი აქვს, რომ მალე რუსეთში პუტინის ეპოქა დასრულდება — ისეთი პირი უჩანს, ამ ქვეყანას ვლადიმერ ვლადიმეროვიჩის სახით, ქრონიკული ვენერიული დაავადება შეეყარა და მალე მთელ მსოფლიოშიც გავრცელდება. დიახ, მალე, დედამიწა პატარა პუტინებით დასახლებული „მშვიდობიანი“ პლანეტა იქნება. პატარა პუტინის გაჩენის შანსი კი, პლანეტის ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებ ნებისმიერ ქალბატონს მიეცემა, თუკი დუმა სამართლის დოქტორ ელენა ბორისის ასულ მიზულინას ახალ ინიციატივას მხარს დაუჭერს. ქალთა, ბავშვთა და ოჯახების საკითხების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელი ელენა ბორისოვნა რუსეთის ყველა მოქალაქე ქალბატონს მოუწოდებს, პრეზიდენტისგან შვილი გააჩინოს. არც ისე დიდი დროა გასული მას შემდეგ, რამდენიმე ლამაზმანი, კრემლის წინ აქციებს რომ აწყობდა და „ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, შენგან შვილი მინდა“, გაჰყვიროდა. ალბათ, ასეთი ქალების რაოდენობა რუსეთში ბევრია და ელენა ბორისოვნამაც მათი სურვილი გაითვალისწინა. ოღონდ ნაწილობრივ, რადგან იმედი მათ გაუცრუვდება, ვისაც პრეზიდენტის მიმართ ლტოლვა აქვს — მიზულინას ინიციატივა მსოფლიოს ერთ-ერთი ზესახელმწიფოს პირველთან რომანტიკული ღამის გატარებას სულაც არ გულისხმობს. მისი არსი მხოლოდ ისაა, რომ პუტინის შვილების პოტენციური დედები, სურვილის შემთხვევაში, პრეზიდენტის „გენეტიკურ მასალას“, ანუ სპერმას შინ მიიღებენ, თანაც არც მეტი არც ნაკლები — ფოსტით. მოკლედ, პუტინის სუპერგამრავლების სქემა და პროცესი ასეთია: დარეკავთ შესაბამის ნომერზე, დააფიქსირებთ ვინაობას და პუტინის შვილის გაჩენის ცხოველ ჟინს, დატოვებთ მისამართს, თუ რუსეთის საზღვრებსმიღმა ხართ, გადაიხდით გარკვეულ თანხას და დაელოდებით ამანათს. აი, რუსეთის მოქალაქეებისთვის კი, პრეზიდენტის გენეტიკური მასალა უფასო იქნება. მეტიც, ქალებს, რომლებიც ამგვარად დაორსულდებიან, გარკვეული ფინანსური დახმარება დაენიშნებათ და სხვადასხვა შეღავათითაც ისარგებლებენ. სახელმწიფო პატარა პუტინებზეც განსაკუთრებულად იზრუნებს — მათ სპეციალურ დაწესებულებებში აღზრდიან, სადაც სამშობლოსა და პირადად პრეზიდენტის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ჩაუნერგავენ. მათ ასევე შეუერთდებიან პატარა პუტინები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან — კრემლი იზრუნებს, რუსეთში მათ ჩაყვანაზე. ელენა ბორისოვნა დარწმუნებულია, რომ წლების შემდეგ, სწორედ ისინი შექმნიან ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკურ ელიტას. გარდა ამისა, ინიციატივის ავტორი მიიჩნევს, რომ ამგვარად, ქვეყანაში, შობადობაც გაიზრდება და პატრიოტების რაოდენობაც. რა პოზიცია აქვს მიზულინას ინიციატივაზე დუმას, ჯერჯერობით უცნობია. არც პუტინის შვილის გაჩენის მსურველთა რაოდენობა დაუთვლია ვინმეს, მაგრამ შეძლებენ კი დეპუტატები, პუტინის გამრავლების ამ გენიალურ იდეაზე უარი თქვან? სავარაუდოდ — ვერ გაბედავენ და მიზულინას ინიციატივა ფრთებს შეისხამს. ისიც საინტერესოა, ქალბატონმა ბორისოვნამ, პუტინის გარეშე გაბედა თუ არა მსგავსი ინიციატივის დაყენება? ალბათ ამ კითხვაზე პასუხიც უარყოფითია. თუ ასეა, მოახლოებულა მეორედ მოსვლა და ეგაა. ამ ფონზე, აღარც კრემლის მუქარის უნდა გვეშინოდეს, ამა თუ იმ ქვეყნის წინააღმდეგ ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ — კაცი „გენეტიკური იარაღით“ გვემუქრება და ბირთვული რა მოსატანია? პირადად მე მიმაჩნია, რომ ამ საკითხზე მომუშავე სპეციალური კომისია უნდა შეიქმნას და მსოფლიო ქალბატონებს ცრუ იმედი რომ არ მისცენ, თავიდანვე გათვალონ ყველა დეტალი. მაგალითად ის, პუტინის გამრავლების აქციაში მონაწილე ქალების რიცხვი დიდი რომ იყოს, პუტინის გენეტიკური მასალა ეყოფა თუ არა ყველა მსურველს? გასარკვევია, ამ მასალის მოპოვების მეთოდიც — იმპერიის მმართველია მაინც და „გენეტიკური მასალის“ შეგროვებისთვის დრო რამდენად ექნება, არ ვიცი. ისიც წინასწარ დასადგენია, მისცემს თუ არა პუტინი ყველა შვილს გვარს? ფსიქოლოგებმა უნდა გათვალონ, როგორი იქნება პლანეტის მომავალი 20-30 წლის მერე, როცა პატარა პუტინები გაიზრდებიან და დიდი ამბიციები ექნებათ? მოკლედ ბევრი წვრილმანია გასათვალისწინებელი და უსაფრთხოების ზომებიც მისაღებია — სასწრაფოდ უნდა დაპატენტდეს მიზულინას იდეა, თორემ, მსოფლიოში, სუპერგამრავლების ამბიციის მქონეთ რა გამოლევს? არც ისეთი ფანები დაილევა, პოპულარული კაცების შვილის ყოლის ჟინი რომ კლავთ. ჰოდა, ერთ არამშვენიერ დღეს, სხვებმაც რომ მოინდომონ „გენეტიკური“ იარაღის გამოყენება, რა გვეშველება? თუმცა, პუტინი არ დაუშვებს, მისი გამრავლების სქემა ვინმემ გაიმეოროს. ამ საშიშროებას ალბათ ავცდებით, პუტინის გამრავლებას კი — ალბათ ვერა. სხვა თუ არაფერი, რამდენი ქალი გააჩენს შვილს, თუნდაც მხოლოდ ფინანსური დახმარების გამო. ან იმის გამო, მერე იტრაბახოს, პუტინის შვილს ვზრდიო. მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, ვინატროთ, დუმამ მიზულინას ინიციატივა არ განიხილოს და პუტინის გენეტიკური მასალა მსოფლიოს ფოსტით არ მოედოს თორემ, ერთი პუტინი აზანზარებს მსოფლიოს და მილიონი რას მოიმოქმედებს, ადვილი წარმოსადგენია.

ნინო ლურსმანაშვილი

საქართველო და ლიტვა ერთობლივ სამხედრო წრთვნებს ჩაატარებენ

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის და ლიტვის თავდაცვის მინისტრ იუზას ოლეკას შეხვედრაზე აღინიშნა, წვრთნები ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პაკეტის ფარგლებში გაიმართება.

მხარეებმა ორი ქვეყნის მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

განსაკუთრებული ყურადღება თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე, მათ შორის სამხედრო განათლების მნიშვნელობაზე გამახვილდა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, თავდაცვის უწყებებს შორის თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი მოქმედებს. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ასევე თანამშრომლობს ლიტვაში არსებულ ნატო-ს ენერგოუსაფრთხოების ცენტრთან და მონაწილეობს ცენტრის ფარგლებში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა ლიტვის თავდაცვის მინისტრს მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობებისთვის, რომელიც ლიტვას საქართველოსთან აკავშირებს. მისი თქმით, ლიტვის მთავრობა მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს და ეხმარება საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევაში; ასევე, ცდილობს, ხელი შეუწყოს ქვეყანაში პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სახელმწიფოებრიობის გაძლიერებას.

შეხვედრას ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იონას პასლაუსკასი, ლიტვის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ბრიგადის გენერალი ვლადიმერ ჩაჩიბაია, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე მიხეილ დარჩიაშვილი, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის მდივანი მინდია ჯანელიძე და თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი დავით ნარდაია დაესწრნენ.

„პირველი“

ვერსიანიუსი

შსს-მ ნარკოლოგიური შემოწმების სამსახური ამბროლაურში გახსნა

შსს-ს ნარკოლოგიური შემოწმების სამსახური ამბროლაურში გაიხსნა. გახსნას შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი ნუგზარ სუჯაშვილი და უწყების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. აღნიშნული სამსახური იმერეთის რეგიონში აქამდე მხოლოდ ქუთაისში ფუნქციონირებდა. ახალი ნარკოლოგიური შემოწმების კაბინეტი თანამედროვე ავეჯით და უახლესი ტექნიკითაა აღჭურვილი.

ნარკოლოგიური შემოწმების სამსახური ადამიანის ორგანიზმში ნარკოტიკული საშუალებების, მათ შორის, ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარების ფაქტს უახლესი ნარკოტესტებით დაადგენს. კვალიფიციური ექიმი-ნარკოლოგები პირის ნარკოტიკული და ალკოჰოლური თრობის მდგომარეობის დასადგენად ასევე ჩაატარებენ მის კლინიკურ შემოწმებას.

გარდა ამისა, ადგილზე იმუშავებს კრიმინალისტიკური ჯგუფი, რომელიც განახორციელებს დაქტილოსკოპიურ და ჰაბიტოსკოპიურ ექსპერტიზას. კრიმინალისტიკური სამსახური აღჭურვილია სპეციალური სისტემით, რომელიც დაკავშირებულია ერთიან ბაზასთან. აღნიშნული ბაზის საშუალებით ოპერატიულად მოხდება პიროვნების თითის ანაბეჭდების და ფოტოსურათის მონაცემთა ბაზასთან შედარება და პირის ვინაობის დადგენა.

„ვერსიანიუსი“

მთავრობის სარეზერვო ფონდი 70 მილიონ ლარამდე იზრდება

მთავრობის სარეზერვო ფონდი 2015 წლისთვის 20 მილიონით იზრდება და 70-მილიონ ლარს შეადგენს.

მთავრობის სარეზერვო ფონდი მიმდინარე წელს 50-მილიონი ლარით იყო განსაზღვრული. პარლამენტში წარდგენილი საბიუჯეტო პროექტის მიხედვით კი, მისი მოცულობა 70 მილიონით დაიგეგმა.

უცვლელი რჩება პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მოცულობა, რომელიც მიმდინარე და მომავალ წელსაც 5-მილიონი ლარი იქნება.

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობა, ერთად აღებული, წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

„ინტერპრესნიუსი“

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელ მდივნად ზვიად ჯანყარაშვილი აირჩიეს

აღნიშნული გადაწყვეტილება პარტიის პოლიტსაბჭომ ერთხმად მიიღო. „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე ასევე ქვეყანაში მიმდინარე საკითხები და ის კანონპროექტები განიხილეს, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო უახლოეს პერიოდში განიხილავს.

„პირველი“

ექსკლუზიური ინტერვიუ კახა კალაძესთან

როგორ აფასებს მთავრობის ორწლიან მუშაობას, რატომ გახშირდა დენის გათიშვა, როგორ შევხვდებით ზამთარს, როგორ დაბალანსა ყაზახი ინვესტორების დავალიანება და რას ითხოვს ხუდონჰესის ინვესტორისგან ენერგეტიკის მინისტრი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ამბობს, რომ საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის არსებული გაუგებრობა მალე გაირკვევა. მიაჩნია, რომ მარგველაშვილი-ღარიბაშვილის დაპირისპირება ქვეყნის საგარეო იმიჯს ლახავს, მთავრობის წევრებს კი სამუშაო პროცესში უშლის ხელს. აცხადებს, რომ „ყაზტრანსგაზთბილისის“ პრობლემა უკვე მოგვარდა და მალე კომპანია ყაზახ ინვესტორებს დაუბრუნდება. კატეგორიულად უარყოფს სააკაშვილთან დაახლოებული ბიზნესმენი ძმების, შარანგიების ლობირებას და აცხადებს, რომ რუსთავის მიკროავტობუსების ტენდერთან არავითარი შეხება არ ჰქონია. როგორ ემზადება ენერგეტიკის სამინისტრო ზამთრის სეზონისთვის? როდის გაქრება ჩაბნელებული 90-იანებისა და ავადასხსენებელი მე-9 ბლოკის აჩრდილი საქართველოს მოსახლეობის მეხსიერებიდან? „ვერსიის“ კითხვებს ექსკლუზიურ ინტერვიუში ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე პასუხობს.

— ბატონო კახა, ხელისუფლებაში ყოფნის 2 წელს როგორ შეაფასებთ?

— 2012 წლის 1 ოქტომბერი საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. მოსახლეობასთან ერთად შევძელით, წინა ხელისუფლება, რომლის მიმართაც დიდი უკმაყოფილება იყო, მშვიდობიანად, არჩევნების გზით დაგვემარცხებინა. ქვეყნის დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, ეს უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია. უამრავი პრობლემა დაგვხვდა, რადგან ყველაფერი, რაც კეთდებოდა, ფასადური და ძირითადად, პიარზე ორიენტირებული იყო. თუმცა, უნდა აღვნიშნო, წინა ხელისუფლებამ, მნიშვნელოვანი რეფორმებიც გაატარა. ერთი წელი პრეზიდენტ სააკაშვილთან გვიწევდა ურთიერთობა. რთული იყო — გვახსოვს სხვადასხვა კანონპროექტზე ვეტოს დადების ტენდენცია. მაინც მნიშვნელოვანი რეფორმები განვახორციელეთ: თითოეული მოქალაქე დაზღვეულია, მოსწავლეები სახელმძღვანელოებს უფასოდ იღებენ, უმაღლეს სასწავლებლებში, დაახლოებით 26 ფაკულტეტზე, სტუდენტები უფასოდ სწავლობენ, ბაგა-ბაღებიც უფასოა... ასევე, უფასოა მიწის დამუშავება. იაფი კრედიტებია გამოყოფილი მათთვის, ვისაც სოფლის მეურნეობაში გარკვეული ინვესტიციების განხორციელება სურს. გულდასაწყვეტია, რომ დღეს საქართველოში საკვები პროდუქტის დიდი ნაწილი უცხოეთიდან შემოდის. შესაძლოა, ადგილობრივმა პროდუქციამ მთლიანად ვერ დააკმაყოფილოს მოსახლეობა, მაგრამ იმპორტის გარკვეულ მოცულობას ჩაანაცვლებს და ამ მიმართულებით ვმუშაობთ. ენერგეტიკაშიც მნიშვნელოვანი რეფორმები განვახორციელეთ, დენის ტარიფი 21%-დან, 27%-მდე, გაზის ტარიფი კი 5%-ით შევამცირეთ. პენსია 150 ლარამდე გაიზარდა, დახმარებები გაორმაგდა... ეს საკმარისი არ არის, ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონია. ყველა უწყება მუშაობს, რათა უმოკლეს ვადაში, საქართველოს თითოეულმა ოჯახმა იგრძნოს შვება. ყველაზე დიდი პრობლემა, უმუშევრობაა. მის დასაძლევად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ კარგი პროექტი წამოიწყო — „აწარმოე საქართველოში“. მის ფარგლებში, საქართველოს ყველა რაიონში შევძლებთ ადგილობრივების დასაქმებას. სახელმწიფო სამუშაო ადგილებს ვერ შექმნის, მაგრამ ბიზნესს უნდა დაეხმაროს და საწარმოების გახსნისთვის ხელსაყრელი გარემო შექმნას. ბანკებთან ვთანამშრომლობთ. თუ ბანკი 12%-13%-იან გრძელვადიან კრედიტს გასცემს, 10% სახელმწიფოს სუბსიდიაა. ეს სერიოზული შეღავათია. წელს ამ მიმართულებით, 140 000 000 ლარი იყო გამოყოფილი, მომავალ წელს კი თანხის გაზრდას ვაპირებთ. ჩემი გუნდის საქმიანობის ჩემგან შეფასება, ცოტა უხერხულია. ბევრი უნდა ვიმუშაოთ პიარის მიმართულებით, მაგრამ გადამეტებულად არა. წინასაარჩევნო პერიოდში, რეგიონებში ადგილობრივ მოსახლეობას რომ ვხვდებოდი, ბევრმა არ იცოდა ჩვენ მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. სამწუხაროდ, ისიც კი არ იცოდნენ, რომ დაზღვეულები არიან და ექიმის მომსახურება უფასოა. ჯამში, მთავრობის მუშაობას დადებითად შევაფასებ. უშეცდომო არავინაა. შეიძლება შეცდომები ჩვენც გვქონდა, მაგრამ მთავარია, საბედისწერო შეცდომა არ დაგვიშვია.

— ინვესტიციების თემა მუდმივად აქტუალურია და ინვესტორებს საქართველოში სწორედ ენერგეტიკა ხიბლავს. „ტატა ჯგუფის“ გარდა, ამ ორ წელში, რომელი ინვესტორები დაინტერესდნენ ენერგეტიკით?

— „ტატა ჯგუფი“ ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა მსოფლიოში, რომელმაც აჭარაში ჰესების მშენებლობა უკვე დაიწყო. მათ გარდა, თურქული კომპანია „ანადოლუ ჯგუფი“ 80 მეგავატი სიმძლავრის ფარავანის ჰიდროელექტროსადგურს აშენებს. ფარავანჰესს 11 ოქტომბერს ოფიციალურად გავხსნით. „ანადოლუ ჯგუფი“ მზადაა, ონისა და ცხენისწყლის ჰესებიც ააშენოს. ერთ-ერთი, უდიდესი თურქული კომპანია „ნუროლი“ ნამახვანის პროექტით დაინტერესდა. მოლაპარაკების პროცესში ვართ. ვფიქრობ, შევთანხმდებით და უახლოეს მომავალში, ამ პროექტის მშენებლობასაც დავიწყებთ. ნენსკრაჰესის პროექტით კორეის ერთ-ერთი, უმსხვილესი სახელმწიფო კომპანია „კეი ვოთერი“ დაინტერესდა. მათთან მოლაპარაკებას საპარტნიორო ფონდთან ერთად ვაწარმოებთ. ამ ორ წელში, 6 ახალი ჰიდროელექტროსადგური მივიღეთ ექსპლუატაციაში. ამ მიმართულებით, წინა ხელისუფლებამაც მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა, წინსვლაც იყო, თუმცა უამრავი პრობლემაც დაგროვდა და მათ მოგვარებას გარკვეული დრო დასჭირდება. სამწუხაროდ, სექტორში არსებული პრობლემა უმოკლეს ვადაში ვერ აღმოიფხვრება და ამის მაგალითია ის, რომ რეგიონებსა და დედაქალაქშიც კი, ელექტროენერგია ითიშება. ხშირად ამის მიზეზი სხვა კომპანიების, მათ შორის „თბილწყალკანალისა“ და „ყაზტრანსგაზთბილისის“ მიერ წარმოებული სამუშაოებია, როცა ელექტროგადამცემი ხაზებიც ზიანდება. რეგიონებში უფრო რთული ვითარებაა — ქსელი ავარიულ მდგომარეობაშია, რეაბილიტაცია სჭირდება. „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ უკვე მივაღწიეთ შეთანხმებას. ეს კომპანია, რეგიონების გამრიცხველიანებასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ყოველწლიურად 70 000 000 ლარს დახარჯავს.

— ამ ზაფხულს, მთელი საქართველოს ჩაბნელებამ, მოსახლეობას შევარდნაძის ეპოქა გაახსენა. ავარიული გათიშვების ფონზე, ზამთრის სეზონისთვის როგორ ემზადებით?

— ზაფხულში მართლაც დიდი ავარია მოხდა. 500 კვტ. მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „იმერეთი“ დაზიანდა. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა სწორედ ამ ხაზით იღებს ელექტროენერგიას, რადგან ჰესები ძირითადად დასავლეთ საქართველოშია. 220 კვტ. ელექტროგადამცემ ხაზებზე დამონტაჟებულია ავტომატური ამომრთველები. ავარიის დროს, 500 კვტ. ხაზი სწორედ 220 კილოვატიანმა უნდა გათიშოს, რათა ხაზები არ გაწყდეს. სამწუხაროდ, ამ სისტემამ არ იმუშავა. დღეს ეს სისტემა, რომელიც ამერიკულმა კომპანიამ დაამონტაჟა, გამართულად მუშაობს. მას შემდეგ „იმერეთზე“ რამდენიმე ავარია მოხდა, მაგრამ დანარჩენ საქართველოს არ უგრძნია. რაც შეეხება ზამთრის სეზონისთვის მზადებას, სამუშაოები ჩვეულებრივ რეჟიმში მიმდინარეობს, არანაირი პრობლემა არ არის. დენი ხშირად იმიტომ ითიშება, რომ ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ეს ზაფხულში უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის გამო, სამუშაოები თვენახევრის დაგვიანებით დავიწყეთ და წლის ბოლომდე დავასრულებთ.

— ენერგეტიკის მინისტრად დანიშვნისთანავე, „ყაზტრანსგაზთბილისში“ არსებული პრობლემების შესწავლა დაიწყეთ და ამის გამო ყაზახეთშიც ბრძანდებოდით. ორი წელი გავიდა და კომპანიაში თითქმის არაფერი შეცვლილა. მხოლოდ ის ვიცით, რომ „ყაზტრანსგაზთბილისს“ დროებითი მმართველი მართავს.

— ფაქტობრივად, ყაზახეთთან მოლაპარაკებები უკვე დავასრულეთ. აქ ენერგეტიკის სამინისტროსთან კი არა, ფინანსებსა და ვალებთან დაკავშირებული პრობლემა იყო. ყველაფერი მოგვარდა. შევთანხმდით და ვფიქრობ, ახალ წლამდე ეს კომპანია ყაზახ ინვესტორს დაუბრუნდება. ამ ეტაპზე, ვაზუსტებთ, რა ფორმით დარეგულირდება ეს ყველაფერი, მაგრამ პრობლემა აღარ არსებობს.

— „ყაზტრანსგაზთბილისში“ პრობლემები წინა ხელისუფლების პირობებში დაგროვდა. ყაზახი ინვესტორების განმარტებით, სახელმწიფომ ვალი არასწორად დააკისრა. პრობლემა როგორ მოაგვარეთ, ვალი ჩამოუწერეთ?

— ამ კომპანიაში ფინანსური დავალიანება მართლაც არასწორად დაგროვდა, მაგრამ ვალი არ ჩამოგვიწერია. ძირი თანხა, დაახლოებით 76 000 000 ლარი, გამოვქვითეთ. „ყაზტრანსგაზთბილისს“ ფინანსთა სამინისტროს დავალიანება ჰქონდა. საგარეო ვალის სახით, საქართველოს, ყაზახეთის ვალიც აქვს, საგარეო ვალს კი ფინანსთა სამინისტრო ემსახურება. ეს ორი ვალი დავაბალანსეთ, რადგან ყაზახური კომპანია, რომელიც „ყაზტრანსგაზთბილისს“ მართავს, სახელმწიფო კომპანიაა.

— ხუდონჰესთან დაკავშირებული აჟიოტაჟი უკვე ჩაცხრა?

— აქტიურ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ინვესტორ „ტრანს ელექტრიკასთან“. გვინდა დავინახოთ, რამდენად შესწევს ძალა ამ კომპანიას, ეს პროექტი განახორციელოს. ხუდონჰესის სამშენებლო ღირებულება 750 000 000 აშშ დოლარია, ამას დაუმატეთ საბანკო მომსახურებაც და ჯამში, მთლიანი ღირებულება მილიარდ დოლარამდე ადის. „ტრანს ელექტრიკას“ მოვთხოვეთ, წარმოადგინოს დამფუძნებლების სია, რადგან ეს კომპანია ოფშორშია რეგისტრირებული. გვინდა, ყველაფერი გამჭვირვალე იყოს. თუ კომპანია დოკუმენტაციას წარმოადგენს, სამუშაოები ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელდება.

— როგორც ვიცე-პრემიერი, როგორ შეაფასებთ მთავრობის წევრების ახალ შემადგენლობას, კონკრეტულად ეკონომიკური პროფილის — სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის მინისტრებს. ეფექტურად გაართვეს თავი სამუშაოს?

— ვფიქრობ, ნორმალურად მუშაობენ. ისინი ძალიან მნიშვნელოვან დარგებს ხელმძღვანელობენ, რადგან ჩვენთვის პრიორიტეტია, როგორც სოფლის მეურნეობა, ასევე ინფრასტრუქტურა.

დასასრული მე-4 გვერდზე

ვერსიანიუსი

ბიძინა ივანიშვილის საავტორო გადაცემა ეთერში ახალ წლამდე გავა

„მოქალაქის“ დამფუძნებლის ინგორმაციით, გადაცემის დეტალებზე მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. **„როგორც იცით, ვამზადებ ტელეპროექტს. დეტალებზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერ დაზუსტებული არ გვაქვს. ძალიან აქტიურად ვმუშაობთ. ამ პროექტით მე გამოვჩნდები და ვიქნები აქტიური, კვირაში ერთხელ მაინც“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

კითხვას, იქნება თუ არა მისი თანაწამყვანი, ჟურნალისტი ეკა ბერიძე, ბიძინა ივანიშვილმა არ უპასუხა.

„პირველი“

საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა სოფელ ქვეშში ცოლ-ქმარი დააკავეს

არსებული ინფორმაციით, კახა ყაზიშვილი და ზინა ნატრიაშვილი საოკუპაციო ხაზთან მყოფმა ფორმიანებმა ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით დააკავეს. მათი დაკავება ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხდა.

ცოლ-ქმარი შიდა ქართლის სოფელ ქვემო იკორტაში ცხოვრობს და ქვეშში ნათესავების სანახავად იმყოფებოდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის გავლებული მავთულხლართები და ამიტომ მათ უჭირთ გარჩევა, სად გადის ე.წ. გამყოფი ხაზი. მათივე თქმით, საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები ჩასაფრებულები არიან და დაკავებას ამ მეთოდით ახორციელებენ.

დაკავებული ცოლ-ქმარი, არსებული ინფორმაციით, არცევის მილიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

„პირველი“

„მალე ინტერპოლი სააკაშვილზე ძებნას გამოაცხადებს“

რუსუდან შელია
557-100-768

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ლიდერი ირმა ინაშვილი ქუჩაში ახალგაზრდებს შორის დაწყებულ დაპირისპირებას მართვად პროცესად არ მიიჩნევს და ისევ ნაციონალური მოძრაობის შეთქმულებაზე საუბრობს, „თავისუფალ ზონელებს“ კი მიმართავს, სააკაშვილის პოლიტიკურ იარაღად არ იქცნენ. ამბობს, რომ, თუ სახელმწიფო პრობლემებს თავად მოაგვარებს და ნაციონალური მოძრაობის გარიყვას დაიწყებს, „თავისუფალი თაობის“ მსგავსი ჯგუფების შექმნის აუცილებლობა აღარ დადგება. „ვერსიასთან“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ირმა ინაშვილი აფასებს.

რა ინფორმაციებს აწვდის „ვერსიას“ და როგორ აპირებს ნაციონალების დასამარებას ირმა ინაშვილი

— ჯერ კიდევ გაზაფხულზე, ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილი „თბილისური მაიდნის“ სცენარი გავასაჯაროე. როგორც ჟურნალისტს, მქონდა ინფორმაცია, რომ ნაციონალები სხვადასხვა სპორტულ დარბაზში სპორტსმენებს ავარჯიშებდნენ და არეულობისთვის ამზადებდნენ. პარალელურად, იქმნებოდა ინტერნეტსაიტები, რომელსაც ქვეყანაში დესტაბილიზაციის უზრუნველყოფა ევალებოდა. პროცესი ინფორმაციის გახმაურებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობის შედეგად შეჩერდა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ვითარების ხელოვნურად დაძაბვის მცდელობა დღესაც არსებობს, რითაც, პირველ რიგში, ნაციონალური მოძრაობაა დაინტერესებული. „თავისუფალი ზონის“ წევრებს, რომელთა ნაწილის მამები აფხაზეთში იბრძოდნენ და მართლაც გმირების შვილები არიან, მივმართავ: ეჭვი არ მეპარება, რომ სამშობლო გიყვართ, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ იარაღად არ იქცეთ. ისინი პროვოკაციისთვის გამოგიყენებენ. ეს კრიმინალური პოლიტიკური დაჯგუფება ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ახალგაზრდებს კი არა, საკუთარ დედას გაწირავს.

— დესტაბილიზაციის ნიშნები „თავისუფალი თაობის“ ფლანგზე უფრო შეინიშნება, რადგან ქუჩაში მაისურზე უცნაური წარწერებითა და იარაღით გამოჩნდნენ. მათაც ნაციონალები ხომ არ აფინანსებენ?

— არა, „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენლებს კარგად ვიცნობ და ჩემი ინფორმაციით, ისინი ნაციონალურ მოძრაობასთან კავშირში არ არიან. ხელისუფლება თუ საკუთარ ფუნქციას აღასრულებს და ქვეყანაში პრობლემებს სახელმწიფო მოაგვარებს, სხვადასხვა ჯგუფის შექმნა აუცილებელი არ გახდება.

— ვინ ქმნის ამ ჯგუფებს?

— აბსოლუტურად ბუნებრივია, რომ ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს დაუპირისპირდა, რადგან ქვეყანაში ორი პოლუსი ჩამოყალიბდა — საზოგადოება დამნაშავეების დასჯას ითხოვს, დღეს კი კრიმინალები პოლიტიკას არიან ამოფარებულნი და ტელეეკრანებიდან მორალს გვიკითხავენ. ეს ხალხისთვის შეურაცხმყოფელია. ხელისუფლებას თავის დროზე კოჰაბიტაცია რომ არ გამოეცხადებინა, ვითარება ასე არ დაიძაბებოდა. „ქართულ ოცნებას“ ვურჩევ, თვალი ფართოდ გაახილოს და საფრთხეები დაინახოს, რომელთა დროული ლოკალიზებაა საჭირო, რაც აქტიურ ქმედებებსა და ნაციონალური მოძრაობის გარიყვის პროცესის დაწყებას გულისხმობს. ნაციონალურ მოძრაობასთან დებატში თავმოყვარე პოლიტიკური ძალა არ უნდა მიდიოდეს, მით უმეტეს, როცა წამგებიან პოზიციაშია და დებატებს აგებს. ეს ნეგატიურად აისახება საზოგადოების განწყობაზე.

— თუ საზოგადოების მთავარი მოთხოვნა ნაციონალური მოძრაობის გარიყვაა, რატომ ვერ შეძლეს დანარჩენმა ოპოზიციურმა პარტიებმა ხელისუფლების მთავარ ოპონენტად ჩამოყალიბება?

— ამის მიზეზი მხოლოდ კოჰაბიტაციაა — „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალური მოძრაობა გადაარჩინა. მათ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში 40% არ მიუღიათ, ეს მაჩვენებელი კოალიციამ დაუწერა, რეალურად კი ნაციონალების პოლიტიკური რეიტინგი 23%-ს არ სცილდებოდა, გაკოტრებული იყო. მეჩვენებოდა და დღესაც მეჩვენება, რომ „ქართული ოცნება“ ნაციონალებთან სიამოვნებით დებატობს, რადგან ფიქრობენ, გაკოტრებულ ძალასთან უკეთ წარმოჩინდებიან, ვიდრე ირმა ინაშვილთან. არადა, ვიმეორებ — „ქართული ოცნება“ ნაციონალებთან დებატებს აგებს. ან ჩვენ გაგვატარეთ და გაგვიშვით, რომ ნაციონალური მოძრაობა დავასამაროთ, ან ხალხის სათქმელი ნაციონალებს გამართულად გადაეცით.

— დიდი ხანია ნაციონალური მოძრაობის დასამარებაზე საუბრობთ. საამისოდ რამე კონკრეტული გეგმა გაქვთ?

— ვერ დავაკონკრეტებ, თუმცა სერიოზული გეგმები მართლაც მაქვს. „ქართული ოცნება“ ამისთვის არაფერს აკეთებს, ამიტომ მაქვს განცდა, რომ ნაციონალების დასამარება ისევ ჩემი და ჩემი გუნდის გასაკეთებელი საქმეა.

— თქვენი პარტიის ლიდერის დავით თარხან-მოურავის განცხადებით, კოალიცია უნდა დაიშალოს და „ქართული ოცნების“ წევრი პატრიოტთა ალიანსი უნდა გახდეს. ამ სცენარს რეალურად განიხილავთ?

— არ ვიცი ამ განცხადების შესახებ, მაგრამ კოალიციის დაშლა არ გამეხარდება. თუ გაერთიანებაში შემავალი პარტიები ერთმანეთთან თავს კარგად გრძნობენ, რატომ უნდა დაიშალოს? ღმერთმა დალოცოს ისინი. ფაქტია, ამ ფორმით სასურველ მიზანს ვერ აღწევენ, ამიტომ არ გამოვრიცხავ, კოალიცია მართლაც დაიშალოს. ჩვენ არავითარ კოალიციებში, არც ბურჯანაძის და არც „ქართული ოცნების“ მიმართულებით გაერთიანებას არ ვაპირებთ. საარჩევნო პროცესებშიც მონაწილეობას დამოუკიდებლად მივიღებთ. ახლა ჩვენი მთავარი მიზანი პარტიის გაძლიერება და ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაა. დიდი ხანია საუბრობენ, თითქოს ციხის კადრები დადგმულია, მაგრამ ვერაფერს გამოაქვეყნებენ და ვერ დაამტკიცებენ. მეტიც, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოვუწოდებ, ჟურნალისტებისთვის დახურულ შეხვედრაზე ნაჩვენები კადრები გაასაჯაროონ — მაგიდაზე დაბმულ მამაკაცს პირდაპირ პოლიციის შენობაში აუპატიურებდნენ. ქართველ ხალხს უფლება აქვს, ეს კადრები ნახოს! თუ რომელიმე ფელინი კარანტინის კადრებს დგამდა, მაინტერესებს რომელი რეჟისორი მუშაობდა სამეგრელოში, პოლიციის შენობაში? ნაციონალურმა მოძრაობამ ამ წამებისთვის პასუხი უნდა აგოს. ახლა პროკურატურას საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდება, რადგან ჩემი ინფორმაციით, მალე ინტერპოლი სააკაშვილზე ძებნას გამოაცხადებს.

— ვინ მოგაწოდათ ინფორმაცია და თუ იგეგმება გახმაურებული საქმეების გახსნაც?

— ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, ზურაბ ჟვანიასა და სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიება დასასრულს უახლოვდებოდა. ახლა კი, როგორც ვიცი, გახმაურებული საქმეები გახსნილია. პროკურატურა კბილაშვილისდროინდელი უწყება აღარ არის, სადაც აღნიშნული საქმეების გახსნას ხელოვნურად აფერხებდნენ. მთავარია, თითოეული ჩვენგანი ფრთხილად იყოს და ნაციონალურ მოძრაობას მზაკვრული გეგმების განხორციელების შესაძლებლობა არ მივცეთ.

— ამ დროს ევროპარლამენტი პროკურატურას ბაჩო ახალაიას გათავისუფლებასა და სააკაშვილისთვის ბრალის გაუქმების რეკომენდაციით მიმართავს. თქვენი ინფორმაცია თუ რეალური აღმოჩნდა, როგორი რეაქცია ექნება დასავლეთს?

— დასავლეთთან საგარეო საქმეთა სამინისტრო არ მუშაობს. ევროსაბჭოს რეზოლუციის გამო კი, მინისტრი მაია ფანჯიკიძე უნდა გადადგეს ან უნდა გაათავისუფლონ. ამასთან, ევროინტეგრაციის სამინისტროც უნდა გაუქმდეს, რომელიც მხოლოდ ხორცმეტად იქცა და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ინტერესების დასაცავად არაფერს აკეთებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ შინაარსის რეზოლუცია არ დაიდებოდა. რისთვის ვაფინანსებთ და რაში ვუხდით ხელფასს დიპლომატიურ კორპუსს, რომელსაც უზარმაზარი საშტატო ერთეული ჰყავს?

რეზოლუციას გაითვალისწინებს თუ არა ხელისუფლება, ეს საქართველოს კანონმდებლობისა და ქართველი ხალხის გადასაწყვეტია. თუმცა ეს შედეგი არაკვალიფიციურობის ბრალია. მეორე მხრივ, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები დღესაც სხვადასხვა ქვეყნებში საქართველოს საელჩოებში სააკაშვილის სასარგებლოდ მუშაობენ. ამ ფონზე, სრული იდიოტობაა საუბარი, რომ თურმე სახელმწიფომ ლობისტებში ფული არ უნდა ხარჯოს. ნებისმიერმა ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ლობიზმი, როგორც ინფორმაციის დასავლეთთან მიტანის თანამედროვე პოლიტიკური ბერკეტი.

ექსკლუზიური ინტერვიუ კახა კალაძესთან

მე-3 გვერდიდან

ამ სამინისტროების გამართული მუშაობა და იმ თანხების ათვისება, რომელიც გამოყოფილია, მნიშვნელოვანია. ჩვენ უცხოურ გრანტებსაც ვიღებთ და მათი სწრაფად ათვისება აუცილებელია, რადგან ეს ყველაფერი, ეკონომიკურ განვითარებასა და ქვეყნის წინსვლაზე მოქმედებს. შესაძლოა, მათი დანიშვნიდან დიდი დრო არ გასულა, მაგრამ ამ კონკრეტული მინისტრების მუშაობას დადებითად ვაფასებ. პირადად მეც და მთლიანად მინისტრთა კაბინეტს, ბევრი სამუშაო გვაქვს, რათა ქვეყანა განვითარდეს.

— თქვენი აზრით, რა ხდება პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის, მარგველაშვილი-ღარიბაშვილის „დუელი“ რას ნიშნავს?

— ეს ურთიერთობა აუცილებლად უნდა დალაგდეს, რადგან პირველ რიგში, ქვეყნის იმიჯისთვისაა ცუდი. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შეიტანოს წვლილი ამაში, რადგან ასეთი დამოკიდებულება და გაუგებრობა, სამუშაო პროცესში ხელს გვიშლის. თუმცა ეს ყველაფერი ახალმა კონსტიტუციამ გამოიწვია... ნახევრად საპარლამენტო ქვეყანა ვართ. თუ ადრე ერთ კაცზე იყო ყველაფერი დამოკიდებული, ახლა ძალაუფლება გადანაწილებულია. ეს საინტერესოა, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი დალაგდება და მოგვარდება, რაც პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნისა და ზოგადად, საგარეო პოლიტიკისთვის უმნიშვნელოვანესია.

— წინა ხელისუფლების პირობებში, დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე, ძირითადად, პრეზიდენტი დადიოდა. მთავრობის ეკონომიკურ გუნდსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, მაგრამ რატომ გგონიათ, რომ დავოსში მაინცდამაინც ირაკლი ღარიბაშვილი უნდა წავიდეს?

— იმიტომ, რომ ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობის მეთაურია. პრეზიდენტისგან განსხვავებით, მთავრობის წევრებს, ფაქტობრივად, ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს პრემიერთან ურთიერთობა. დავოსში ეკონომიკური ფორუმი იმართება. როცა პრემიერი ბიძინა ივანიშვილი იყო, სწორედ დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე შეხვდა „ტატა ჯგუფის“ წარმომადგენლებს. იქვე შეთანხმდნენ, რომ ეს უმსხვილესი კომპანია საქართველოს ენერგეტიკაში ინვესტიციებს განახორციელებდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე საქართველოს დელეგაციას პრემიერმა უნდა უხელმძღვანელოს — იქ კონკრეტული საკითხები იქნება განსახილველი, რაც ეკონომიკაში განსახორციელებელ ინვესტიციებს ეხება. გიორგი მარგველაშვილმაც ეს კარგად იცის და განაცხადა კიდეც, დავოსის ეკონომიკურ ფორუმს სწორედ პრემიერ-მინისტრმა უნდა უხელმძღვანელოსო.

— ოპონენტები ბრალს გდებენ, რომ რუსთავის სამარშრუტო მიკროავტობუსების ტენდერით იყავით დაინტერესებული, ასეა?

— ეს საკითხი უკვე გაირკვა და ყველამ დაინახა, რომ ამ ტენდერთან არანაირი კავშირი არ მქონია. თემა იმიტომ აგორდა, რომ კონკრეტული ადამიანები, მიზანმიმართულად ცდილობდნენ, ჩემი სახელისთვის შავი ლაქა მოეცხოთ. არ გამოუვიდათ, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა, სადაც ყველამ ყველაფერი იცის. ახლა თავს შევიკავებ გვარების დასახელებისგან, ვისი ინტერესიც გამოიკვეთა ამ ტენდერში. თუ რამე მიკეთებია საქართველოში, ყველაფერს ღიად ვაკეთებდი და შეიძლება ითქვას, ყველა ჩემი პროექტის ზედმეტ აფიშირებასაც კი არ ვერიდებოდი. ისე ნამდვილად არ მიჭირს, ვიღაცას რაღაც წავართვა ან წილში ჩავუჯდე. ღმერთმა იმის საშუალება მომცა, ჩემი მქონდეს. ყველაფერს საკუთარი შრომით მივაღწიე და ღმერთმა დამიფაროს, მსგავსი რამ გავაკეთო.

— იმასაც ამბობენ, სააკაშვილთან დაახლოებულ ბიზნესმენებს, შარანგიებს, „ქართულ ოცნებაში“ ლობირებს და „კავკასუს ონლაინი“ ყოფილ პატრონს იმიტომ არ დაუბრუნეს, შარანგიებთან მეგობრობის გამო, საკითხი კალაძემ დაბლოკაო... „კავკასუს ონლაინის“ ყოფილი მფლობელი, მამია სანადირაძეც იგივეს აცხადებს...

— ესეც დიდი აბსურდი და სისულელეა. „კავკასუს ონლაინთან“ არასდროს არანაირი შეხება არ მქონია. როდესაც მამია სანადირაძემ ჩემ წინააღმდეგ ბინძური კამპანია წამოიწყო, გავარკვიე, რომ სასამართლოს ყველა ინსტანციაში წაუგია საქმე და როდესაც „კავკასუს ონლაინი“ შარანგიებს გადაუფორმა, მათგან გარკვეული თანხაც მიიღო. თუ ამ ადამიანს მიაჩნია, რომ რაღაც არასწორად მოხდა, სასამართლოში გაარკვიოს. თუ არ ვცდები, ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოშიც წააგო საქმე, მაგრამ კიდევ ერთხელ იჩივლოს, ვინ უშლის? გგონიათ, ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში ვინმეს ლობირება შემიძლია? მეეჭვება, ისეთი კავშირები მქონდეს, ეს მოვახერხო. ეს მიზანმიმართული ჭორია. ერთი თაღლითი, ორ თაღლით ძმას ედავება და მტყუან-მართალიც ერთმანეთში გაარკვიონ.

— არც „გუდვილში“ გექნებათ წილი... ამბობენ, ამ კომპანიით იტალიელი ინვესტორები დაინტერესდნენ, რომლებსაც თქვენ გაუწიეთ რეკომენდაცია.

— არა, არ ვარ დაინტერესებული. საკუთარი ბიზნესი მაქვს, რაზეც ყოველთვის ღიად ვსაუბრობ. ნორმალური შემოსავალი მაქვს, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებშიც...

— იმდენად ნორმალური, რომ ერთადერთი მინისტრი ხართ, ვისაც პრემია არ აუღია?

— დიახ, არც პრემიას ვიღებ და არც ხელფასს.

— ენერგეტიკას დავუბრუნდეთ. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, ენერგეტიკის სამინისტროსთვის 135 000 000 ლარია გამოყოფილი. ეს საკმარისია დასახული მიზნების მისაღწევად?

— უფრო მეტი დაფინანსება კარგი იქნებოდა, მაგრამ ფინანსთა მინისტრის მდგომარეობაშიც ყნადადა შევიდეთ. ყველა მინისტრს სურს, რაც შეიძლება მეტი თანხა მიიღოს, რომ მეტი პროექტი განახორციელოს, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტს ამის მეტი საშუალება არ აქვს. ამ 135 000 000 ლარით, მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას ვაპირებთ. გაზიფიცირებისთვის 20 000 000 ლარია გამოყოფილი, გარდა ამისა, „სოკარიც“ ახორციელებს გაზიფიცირების სამუშაოებს. ასევე, ვიწყებთ ჯვარი-ხორგას 500 კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ქვესადგურისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობას, რისთვისაც თანხა ბიუჯეტიდანაცაა გამოყოფილი.

ნიკა რურუა აქტიურ პოლიტიკაში ბრუნდება?!

მარგველაშვილი, აღასანია, ვასაძე — ვის განიხილავს მოძრაობა „ივერიის“ დამფუძნებელი პოლიტიკურ მოკავშირედ

ერუსუდან შელია
557-100-768

საემიგრაციო პოლიტიკა, კანონპროექტი იარაღის შესახებ და ე.წ. მირზა-შაფის ქუჩაზე მრავალფუნქციური კომპლექსის „სამეფო ბაღების“ პროექტი — ხელისუფლების ამ სამ გადაწყვეტილებას ახირებად მიიჩნევს და მათ ჩაშლას დაუყოვნებლივ მოითხოვს. მიზეზებს „ვერსიასთან“ ვრცლად განმარტავს. მისი მისამართით გაჩენილ კითხვებზეც პასუხობს და აცხადებს, რომ მომავალში პროდასავლური ორიენტაციის მქონე პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობისთვის მზადაა. რა აკავშირებს ირაკლი ალასანიასთან, გიორგი მარგველაშვილსა და ლევან ვასაძესთან, გარდაიქმნება თუ არა საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერია“ პოლიტიკურ პარტიად და ვის აწყობს დღეს საზოგადოების ორად გახლეჩა? „ვერსია“ საქართველოს კულტურის ყოფილ მინისტრთან, საზოგადოება „ივერიის“ ერთ-ერთ დამფუძნებელ ნიკოლოზ რურუასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ.

— ხელისუფლების საემიგრაციო პოლიტიკას გაუთვლელ და თვითსაბოტაჟისკენ მიმართულ ნაბიჯად რატომ აფასებთ?

— შესაძლოა, ორ მილიონს სცილდება იმ ქართველთა რიცხვი, რომლებიც ქვეყნის ფარგლებსგარეთ იმყოფებიან, საქართველო უყვართ, თავს ქართველებად მიიჩნევენ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ორმაგი მოქალაქეობა ამ დრომდე ვერ მიიღეს. სააკაშვილის პრეზიდენტობისას ორმაგი მოქალაქეობის მისაღებად პროცედურები ბევრად გამარტივებული იყო, არსებულმა კანონმა კი, ემიგრანტი ქართველები საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო — ვალდებულნი არიან სამ თვეში ერთხელ წავიდნენ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობენ და საქართველოს ვიზა ჩვენ საკონსულოში აიღონ. მოქალაქეობის არმქონე ქართველების გარდა, კანონი უცხოელებსაც უკარგავს მოტივაციას, საქართველოში ჩამოვიდნენ, აქ იმუშაონ, სხვებიც დაასაქმონ და ფული დახარჯონ. ეს პროცესი ეკონომიკაზეც უარყოფითად აისახება.

— ითქვა, რომ ეს კანონი ევროკავშირის მოთხოვნაა...

— ეს მტკნარი სიცრუეა.

— მაშინ რა მიზანი აქვს ხელისუფლების პოლიტიკას — სამშობლოში ქართველების დაბრუნებას ეწინააღმდეგება?

— ეს კითხვა უაზრო ინიციატივის ავტორს უნდა დავუსვათ. ჩანს, თავადაც არ იციან, ეს რატომ გააკეთეს. შედეგი კი, საერთაშორისო თანამეგობრობისა და თავისუფალი სამყაროსგან საქართველოს იზოლაცია იქნება. საქართველოში უამრავი უცხოელი ილტვოდა, რადგან ჩვენთან სავიზო რეჟიმი გამარტივებული იყო, ბიზნესის დაწყება კი — იაფი. ჩვენნაირ გარდამავალ ქვეყნებში ეს ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობაა. ახლა კი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებსაც საფრთხე ექმნება.

— მორიგ ახირებად იარაღის შესახებ კანონპროექტს მიიჩნევთ. ეს გადაწყვეტილება კრიმინალური ვითარების გამოსასწორებლად აუცილებელი არ იყო?

— იარაღი სამოქალაქო თავისუფლების ხარისხზე მეტყველებს. ქვეყნებში, სადაც დიქტატურა ყალიბდება, პირველ რიგში, იარაღის ყიდვა-შენახვის უფლებას, შემდეგ კი მსაჯულთა სასამართლოებს კრძალავენ, რადგან ეს ორი ინსტიტუტი ტირანიისგან დამცავი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. თუ ეს გაკეთდა, საქართველოში დემოკრატიის მშენებლობა დასრულდება. შესაძლოა ამის სურვილი გაუჩნდეთ, მაგრამ ვერ გააკეთებენ. ასევე ვერ ამოიღებენ იარაღს კანონიერი მფლობელებისგან, რომელთა რიცხვი მოსახლეობის 2/3-ზე მეტია. თანაც საქართველო ნახევრადოკუპირებული ქვეყანაა. მტერი ყურის ძირშია და ამ დროს მოქალაქეების განიარაღება მტრის დახმარებას ნიშნავს. დანაშაული კანონიერი იარაღის ფლობის შეზღუდვით არასოდეს შემცირდება, რადგან, როგორც წესი, ადამიანი დანაშაულს „შავ ბაზარზე“ შეძენილი იარაღით სჩადის. ასე რომ, „შავ ბაზართან“ ბრძოლა უნდა დაიწყონ.

— რა საფრთხეს შეიცავს მირზა შაფის ქუჩაზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, სადაც დაახლოებით 100-მილიონიანი ინვესტიცია უნდა განხორციელდეს?

— ეს პროექტი წინა ხელისუფლების დროს უნდა განხორციელებულიყო. საუბარი იყო ისეთი ტიპის სახლების მშენებლობაზე, რომელიც ძველი თბილისის არქიტექტურაში ჯდებოდა და არსებული მთლიანი ლანდშაფტისგან არ განსხვავდებოდა. ამჟამინდელი პროექტით კი, ძველ თბილისში უხარისხო, საკურორტო ზონისმაგვარი წარმონაქმნი გაჩნდება. როგორც ვიცი, ამ ე.წ. პროექტს ბევრი მოწინააღმდეგე ყავს და იმედია, ერთობლივი ძალისხმევით, ამ იდეას დავამარცხებთ. თბილისის უძველეს ნაწილში ახალი ნუცუბიძის ტიპის მშენებლობის წამოწყება დაუშვებელია.

— მორიგ ახირებას პრემიერისა და პრეზიდენტის დაპირისპირება დაემსგავსა, რომელიც აქტუალობას ყოველი მნიშვნელოვანი ვიზიტის წინ იბრუნებს. გჯერათ, რომ ამ გაურკვევლობის საფუძველი მხოლოდ პრეზიდენტის სასახლე და მარგველაშვილის ყოფილი მრჩეველი ვანო მაჭავარიანია?

— პრეზიდენტის სასახლის საკითხი ივანიშვილის ახირებაა. გაუგებარია, რატომ არ უნდა შევიდეს სახელმწიფოს მეთაური და სახე — პრეზიდენტი? მარგველაშვილი ცდილობს ივანიშვილისგან ბოლომდე მართული არ იყოს, ამიტომ არაკეთილგანწყობილთა სიაში მოხვდა.

— მარგველაშვილი არასოდეს ყოფილა ლიდერი, რომელიც ასე ღიად დაუპირისპირდებოდა ივანიშვილსა და კოალიციას. თავად აცხადებდა, პლასტილინის კაცი ვარო. ამ ფონზე, ივანიშვილთან შეთანხმებულ თამაშს ხომ არ თამაშობს ან მის უკან რაიმე ძალა ხომ არ დგას?

— მარგველაშვილი ბოლომდე პლასტილინის კაცი არ აღმოჩნდა, რაც ბევრს ეწყინა. როცა პრეზიდენტი პირდაპირი წესით ირჩევა, მას საკმაოდ დიდი ლეგიტიმურობაც ავტომატურად ენიჭება, რაც თამამი ნაბიჯების გადადგმას და საკუთარი ინსტიტუტის დაცვას ავალდებულებს. ამ დაპირისპირებაში ყველაზე ცუდი ისაა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინება ხდება. გიორგი მარგველაშვილის უკან კი კონსტიტუცია დგას.

— გიორგი მარგველაშვილთან მეგობრობთ?

— ამ ეტაპზე, მასთან ურთიერთობა არ მაქვს. სანამ ოპოზიციაში წავიდოდა, ვმეგობრობდით, მაგრამ რაღაც ეტაპზე გაიბუტა და არ გამოჩენილა. პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, მტრად არ მივიჩნევ. პოლიტიკაში უკიდურესობა უნდა დავივიწყოთ — ერთი ძალის გამარჯვება ოპონენტის განადგურებას არ უნდა ნიშნავდეს. ეს დაბალგანვითარებულობის მანიშნებელია. პირადად მე, ყველა იმ ძალასთან თანამშრომლობისთვის მზად ვარ, რომელიც საქართველოს ერთიანობასა და დასავლურ არჩევანს არ უღალატებს.

— ასეთია მარგველაშვილი? დიდი ხანია საუბრობენ, რომ პრეზიდენტი მესამე ცენტრს ირაკლი ალასანიასთან ერთად შექმნის და მასში თქვენც მოიაზრებით, როგორც მარგველაშვილის ყოფილი და ალასანიას მოქმედი მეგობარი.

— ეს მხოლოდ სპეკულაციებია... ირაკლი ალასანიასაც დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ ჩემ პოლიტიკურ გეგმებს არ ვუკავშირებ — იგი ამ ეტაპზე მოწინააღმდეგე ბანაკშია.

— კოალიციასთან თანამშრომლობას არ ვგულისხმობ. მესამე ცენტრის შექმნა ალასანიასა და მარგველაშვილის ოპოზიციაში გადასვლის შემთხვევაში მოიაზრება.

— ეს მხოლოდ ჰიპოტეტური განაცხადია, თანაც ცალკე ერთ ადამიანს ვერ გამოვყოფ, რადგან ნათქვამს ზოგიერთები სხვანაირად გაიგებენ. ყველას, ვინც ჩემი ქვეყნის პატრიოტია, ბუნებრივ მოკავშირედ განვიხილავ. ვინც რუსების მონობაზე თანახმაა, საქართველოს მოწინააღმდეგე და ჩემი მტერია. ზოგადად, მესამე თუ მეხუთე ძალის წინასწარ დაანონსება გამართლებული არაა. თუ ახალ პოლიტიკურ ხედვაზე მოთხოვნა ბუნებრივად გაჩნდა, ასეც მოხდება. როგორც ამბობენ, წმინდა ადგილი დიდხანს ცარიელი არ რჩება, თუმცა მოვლენებს არ გავუსწროთ.

— იმ ფონზე, როცა პოლიტიკა პოლარიზებულია და ძირითად მოთამაშედ მხოლოდ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა დარჩა, ახალი ძალის გამოჩენის მოთხოვნა არ გაჩნდა?

— შესაძლოა, გაჩნდა და მომავალში უფრო გაღრმავდეს, მაგრამ ახლა საუბარი ნაადრევია. ამ ორ წელიწადში ხელისუფლების უუნარობა გამოჩნდა, რომლის გადაფარვას შოუებით, დაძაბულობის ხელოვნურად შექმნით ცდილობენ — თითქოს ოპოზიცია არეულობას გეგმავს. არადა, შიდადაპირისპირება არც ოპოზიციას აწყობს და არც საქართველოს გულშემატკივარს. ქვეყანაში დაძაბული ფონის შექმნა მხოლოდ რუსეთის ინტერესშია. ნეგატიური ვნებებისგან ქვეყნები ინგრევა — სომალიზაცია რეალური მოვლენაა საქართველოს მსგავს ქვეყნებში, რადგან ინსტიტუტები, ჯერჯერობით, მყარი არ არის. ჩვენი დამოუკიდებლობაც მხოლოდ 20 წელს ითვლის, რაც მტერმა კარგად იცის. შესაბამისად, გამოუცდელობასა და სიფიცხეს ჩვენ წინააღმდეგ იყენებს, რისი საშუალებაც არ უნდა მივცეთ.

დასასრული მე-6 გვერდზე

ყურადღება! ყურადღება! ყურადღება!

ჯანრი კაშიას სახელობის კონკურსი დაიწყო!

გისურვებთ წარმატებებს!



კონკურსი

ჯანრი კაშიას შემოქმედების საუკეთესო გაგებისთვის

ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი აწესებს ჯილდოს ჯანრი კაშიას შემოქმედების საუკეთესო გაგებისათვის. შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს (18-35 წლის ასაკის). ნაშრომი უნდა შეეხებოდეს ჯანრი კაშიას შემოქმედების ერთ რომელიმე ნაწარმოებს ან მთლიან თემატიკას (პოლიტოლოგია, მხატვრული შემოქმედება, კულტუროლოგია, ფილოსოფია, ისტორია). შეფასდება როგორც ავტორის გაგება, ავტორის მიერ თავისებურად დასმული საკითხების გააზრება, ასევე სტუდენტის თავისუფალი აზროვნება, პიროვნული ხედვა, სიახლის, პრობლემის თანამედროვე მნიშვნელობის აღმოჩენის უნარი.

კონკურსი:

— შეირჩევა სამი საუკეთესო ნაშრომი და თითოეული დაჯილდოვდება 1000 აშშ დოლარით;

— ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს (A4, 12, Acadnusx, 1.5);

— ნაშრომები უნდა გადმოიგზავნოს ელ-მისამართზე: konkursantebi@gmail.com;

— მიუთითეთ: პირადი ნომერი, უმაღლესი სასწავლებელი საკონტაქტო მონაცემები;

— ნაშრომების ჩაბარების ბოლო ვადა არის 2015 წლის 15 მარტი;

— გამარჯვებული გამოვლინდება 2015 წლის 8 მაისს.

ჯანრი კაშიას 11-ტომეული ხელმისაწვდომია, როგორც საუნივერსიტეტო, ისე საჯარო ბიბლიოთეკებში. აუცილებლობის შემთხვევაში საორგანიზაციო საბჭო მზად არის, წიგნები დროებით სარგებლობაში გადასცეს კონკურსის მონაწილე სტუდენტს. წიგნების, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით ელ. მისამართზე: konkursantebi@gmail.com.

უკანონო აბორტისთვის ექიმს 5 წლით პატიმრობა ემუქრება

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ათწლეულებია, დემოგრაფიულ პრობლემაზე ვწუწუნებთ, ქართველი ერის გადაშენებას ვწინასწარმეტყველებთ, მაგრამ უკანონო, არაცივილური გზით, არაჰიგიენურ პირობებში ჩატარებული აბორტებისთვის აქამდე, რეალურად, არავინ დაგვისჯია. ქვეყანაში იატაკქვეშა აბორტები ყვავის, ლიცენზირებული საავადმყოფოების დამსახურებული ექიმები კი, დამატებითი 150 ლარის სანაცვლოდ, მომავალ დედებს „ზედმეტი ტვირთისგან“ ათავისუფლებენ და არც ქალის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე აგებენ პასუხს და არც იმაზე, შეძლებს თუ არა ეს ქალი ოდესმე შვილის გაჩენას. როგორც ჩანს, საქართველოს პარლამენტში ამ უკონტროლო პრობლემაზე დაფიქრდნენ და უკანონო აბორტების შესახებ კანონიც გაამკაცრეს, თუმცა საკითხავია, შეამცირებს თუ არა ციხის შიში „აბორტმახერობას“.

რატომ მკაცრდება კანონი აბორტების შესახებ და გადაჭრის თუ არა ახალი რეგულაცია დემოგრაფიულ პრობლემას

ცვლილება, რომელიც პარლამენტმა უკვე დაამტკიცა, ახლა პრეზიდენტს მაგიდაზე უდევს და ახალი რეგულაციების ამოქმედებას მხოლოდ გიორგი მარგველაშვილის ხელმოწერა აკლია. კანონი კი ძალაში ხელმოწერიდან ორი კვირის ვადაში შევა. ეს ცვლილება რამდენიმე საკითხს ეხება: ორი დღით იზრდება ქალთათვის განკუთვნილი მოსაფიქრებელი ვადა და ქალს საკუთარი გადაწყვეტილების გადასახედად 5 დღე ეძლევა. აბორტი უკანონოდ მაშინ ითვლება, თუ იგი ორსულობის 12 კვირის შემდეგ კეთდება. მკაცრდება სასჯელი ექიმისთვის და ახალი კანონით, თუ აბორტი არალიცენზირებულ დაწესებულებაში ან არალიცინზირებული ექიმის მიერ ჩატარდება, პირველ ჯერზე, ექიმს 1-დან 2-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. განმეორების შემთხვევაში კი — 2-დან 5 წლამდე. თუ უკანონო აბორტის დროს ექიმს პაციენტი შემოაკვდება, მას 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება და ასევე, შეიზღუდება მისი პროფესიული საქმიანობა 3 წლის ვადით. აქამდე მოქმედი კანონი და წინა ხელისუფლების მიდგომა აბორტების მიმართ საკმაოდ ლოიალური იყო. სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლის მიხედვით, უკანონო აბორტი ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ისჯებოდა. თუმცა ამის გამო აქამდე, რეალურად, არავინ დასჯილა.

კანონპროექტის ინიციატორი პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტია, ავტორი კი კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესიით ექიმი, დიმიტრი ხუნდაძე, რომელმაც კანონზე მსჯელობის პარალელურად, აბორტების შემზარავი სტატისტიკა გაასაჯაროვა. წინა წლებთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობა არც ბოლო, „საოცნებო“ წლებშია და რადგან არც ფული გადმოუყრია ვინმეს ზეციდან უკეთესი სოციალური ფონის შესაქმნელად, 40 000-მდე ქალმა აბორტი ოფიციალურად გაიკეთა, ორჯერ მეტმა კი — იატაკქვეშ. რა შედეგებს მივიღებთ, კანონის გამკაცრებით, როცა აბორტების რიცხვის მუდმივი ზრდის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ მშიერ და დაუსაქმებელ მშობლებს ბავშვის რჩენა არ შეუძლიათ? პარლამენტში არც იმაზე უმსჯელიათ, რომ საქართველოში შვილის ყოლა, მით უმეტეს, ერთზე მეტის, დიდი ფუფუნებაა, რომ აქ არც ოჯახის დაგეგმვის კულტურა არსებობს და ქალთა რაღაც ნაწილი, დღემდე ფიქრობს, რომ ქორწინების გარეშე შვილის გაჩენა იმაზე დიდი ცოდვაა, ვიდრე საკუთარი შვილის მკვლელობა. რამდენად ეხმაურება ახალი კანონი ქართულ რეალობას და შეამცირებს თუ არა ახალი რეგულაციები სისხლიან სტატისტიკას — ამის გარკვევა **დიმიტრი ხუნდაძესთან** ვცადეთ: **„სრული ერთი წელი ამ თემაზე კონსულტაციები შესაბამისი სფეროს წარმომადგენლებთან გვქონდა და ცვლილების თაობაზე ინფორმირებულები იყვნენ. სახელმწიფოს პოლიტიკა, ამ საკითხთან დაკავშირებით, თანმიმდევრული გახლდათ, რადგან ამ ნორმის შემოღებამდე, ცვლილებათა მთელი ჯაჭვი განვახორციელეთ: გაიზარდა სოციალური დახმარებები, რაც, რა თქმა უნდა, არასაკმარისია, მაგრამ გაორმაგებულია. შემოვიდა საყოველთაო დაზღვევა. ადამიანი უსახსრობის გამო დღეს ექთან ვიზიტზე უარს აღარ ამბობს და არც გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხელმიუწვდომელობის გამო იღუპება ვინმე. ამის შემდეგ გავზარდეთ დეკრეტული შვებულების ვადა, ხოლო დეკრეტული ანაზღაურება 600-ის ნაცვლად 1000 ლარი გახდა. ასევე, სახელმწიფო აფინანსებს ორსულობის პერიოდში გარკვეულ ხარჯებს, პირველადი საჭიროების მედიკამენტებს. რაც მთავარია, ფინანსდება თავად მშობიარობა — მინიმუმ, 500 ლარით. მხოლოდ ამ ყველაფრის შემდეგ, მივიღეთ კანონი უკანონო აბორტების გამკაცრების შესახებ, რაც რა თქმა უნდა, არსებული კრიტიკული ვითარებიდან გამოსავალი არ არის, მაგრამ ამის გამო ქვეყანაში არავინ ისჯებოდა, ახლა ეს რეგულაციები ბევრისთვის შემაკავებელი ფაქტორი გახდება. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, არარეგისტრირებული აბორტები რეგისტრირებულზე გაცილებით მეტია და ეს რიცხვი, სავარაუდოდ, დღეში 100-150-ია. ქვეყანაში 5 ორსულიდან 3 აბორტს იკეთებს. 2012 წელს კი საქართველოში 40 000 რეგისტრირებული აბორტი დაფიქსირდა. 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ნამდვილად ის სასჯელია, რომლის შიშითაც, არა მგონია, ბევრმა ექიმმა გარისკოს“.**

სამაგიეროდ, შეიძლება, არალეგალური აბორტების ფასი ხელოვნურად გაიზარდოს, ლიცენზირებული დაწესებულებებიდან, აბორტებმა, იატაკქვეშ, კერძო ბინებსა და სარდაფებში უფრო აქტიურად გადაინაცვლოს. ისიც შეიძლება, ამ დანაშაულზე ლიცენზირებული ექიმი აღარ წავიდეს, მაგრამ არალიცენზირებული ექიმების საქმიანობა გაიფურჩქნოს და სამსახურიდან ნარკომანიის გამო გამოგდებულმა ანესთეზიოლოგმა აბორტების კეთება დაიწყოს. ეს რეალური რისკებია, თუმცა როგორც ხუნდაძე აცხადებს, სასჯელიც რეალურია და თავისუფლების 5 წლით დაკარგვას, რამდენიმე ასეული ლარის გამო, აღარ გარისკავენ. ხუნდაძისგან რადიკალურად განსხვავებული აზრი აქვს რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, **არჩილ ხომასურიძეს: „გადაწყვეტილება ექიმების დაპატიმრების შესახებ აბსოლუტური სისულელე, უაზრობა და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა, როცა საქმე ლეგალურ აბორტს ეხება. არალეგალური აბორტის მკეთებლები კი 5 კი არა, 20 წლით უნდა ჩასვან ციხეში. ზოგადად, არასდროს, არცერთ აკრძალვას ისტორიაში, სარგებელი არ მოუტანია! ეს ეხება აბორტებსაც, რადგან ყველა აკრძალვამ ამ საქმიანობის კიდევ უფრო მახინჯი გამოვლინება გამოიწვია. რეალურად, უამრავი აბორტი იატაკქვეშ, არალეგალურად კვლავ ჩატარდება და ამით ისევ პაციენტი დაიტანჯება. აბორტების ამ უდიდესი რაოდენობის შესამცირებლად სხვაგვარი ქმედებებია საჭირო: საქართველოში უკვე არსებობს გეგმაზომიერი, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ოჯახის დაგეგემვის პრაქტიკა, რომელიც უნდა გაგრძელდეს და შენარჩუნდეს. უნდა ამაღლდეს პაციენტის ინფორმირებულობის დონე, მან შეგნებული არჩევანი უნდა გააკეთოს, ექიმმა კი აუხსნას, განუმარტოს, დაარწმუნოს — ყველამ უნდა იცოდეს, რომ კონტრაცეფცია აბორტის ალტერნატივაა. მსოფლიოს ისტორიაში, წლების განმავლობაში, ეს ერთადერთი დამტკიცებული და დამკვიდრებული ხერხია. ახალი კანონი კი იატაკქვეშა „აბორტმახერობისა“ და დედათა სიკვდილიანობის რიცხვს გაზრდის“.**

ამ ახალი რეგულაციების საუკეთესო გამოხმაურება კი მაინც ე.წ. საშუალო სტატისტიკურ ქართველს, სოციალური ქსელების ერთ-ერთ მომხმარებელს ეკუთვნის, რომელმაც საკუთარ ინტერნეტგვერდზე რამდენიმე გულწრფელი კითხვა დასვა: **„ამ კანონის აზრი რა არის, ვერ გავიგე? ქალებს აბორტის ფული არ ექნებათ, შვილებს „ვინუჟდენი“ გააჩენენ და შობადობაც გაიზრდება? ქალს თუ აბორტის გასაკეთებელი 150 ლარი არ აქვს, შვილის გაზრდის ფული საიდან ექნება? თუ სამინისტროს მიერ დარიგებული ვიტამინები ეყოფა? ეს მეტი შემოსავლის წყაროა. თან, იმ ნაწილმა, ვინც ვერ აზროვნებს, კანონი საერთოდ ვერ გაიგო და გადაწყვიტა, ქვეყანაში აბორტები აკრძალოს და საქართველოს სათავეში ეროვნული მთავრობა მოვიდა — ვაი, საქართველო! თუ „პადვალში“ გაკეთებული აბორტები ქალის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, მაშინ მესმის, აკრძალო, მაგრამ ამ დროს იმაზეც უნდა იფიქრო, რომ ხალხს ფული არ აქვს და ამიტომაც დადიან ვეტერინარებთან აბორტის გასაკეთებლად, თორემ, საავადმყოფოში გაკეთება ვის არ უნდა?!“**

ონში დევნილ ოჯახებს საცხოვრებელი ფართი გაუნაწილდა

ონში, დევნილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის განაწილების პროცედურა გაიმართა. დევნილთა და განსახლების სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებმა ბინები კენჭისყრის პრინციპით გაანაწილეს. დევნილთა სამინისტროს ინფორმაციით, ფარული კენჭისყრის საშუალებით, გამოვლინდა, კონკრეტულად რომელ ბინებში გადანაწილდებიან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები.

აღნიშნულ ოჯახებს ბინები ონში, ბააზოვის ქ. №1-ში, ყოფილი პოლიციის შენობაში გადაეცემათ. დევნილი ოჯახების შერჩევა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად მოხდა. შენობაში სულ 8 ბინაა, აქედან 2 ერთოთახიანი, 4 ოროთახიანი, 2 კი, სამოთახიანი.

„ინტერპრესნიუსი“

ნიკა რურუა აქტიურ პოლიტიკაში ბრუნდება?!

მე-5 გვერდიდან

— **დაპირისპირება „ზონელებსა“ და „თაობას“ შორის გაძლევთ ფიქრის საფუძველს, რომ ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეა?**

— სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე არ ვართ, მაგრამ თუ ჭკუით არ ვიქნებით, გამოუცდელ საზოგადოებაში ამ პროცესის გაღვივება რთული არ არის, მითუმეტეს, როცა ამას ხელისუფლება აკეთებს.

— **როგორც წესი, პროვოკაცია ნაციონალურ მოძრაობას ბრალდება.**

— სამწუხაროდ, თუ დღეს ვინმე არეულობას ხელს უწყობს, ეს მხოლოდ ხელისუფლებაა, რომელიც 24 საათს პოლიტიკური ოპოზიციის ოპოზიციაში ყოფნასა და მის დემონიზაციას ანდომებს. უნდა გააცნობიერონ, რომ ამით მხოლოდ პუტინის რუსეთი ხეირობს, რომელიც შიდაარეულობის გაღრმავების შემთხვევაში, როგორც სხვაგან მოიქცა, საქართველოშიც მთავრობას ღიად პრორუსული მარიონეტებით ჩაანაცვლებს და საქართველოს დამოუკიდებლობაც დამთავრდება.

— **პრორუსულ ძალად ნინო ბურჯანაძესთან ერთად, ლევან ვასაძეც განიხილება, რომელთანაც, თურმე მეგობრობთ...**

— **პირველად მესმის.** ლევან ვასაძესთან არ ვმეგობრობ. მას ბავშვობიდან ვიცნობ, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა უბრალო ნაცნობობას არ სცილდება.

— **თქვენი საზოგადოებრივი ჯგუფი „ივერია“ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას არ გეგმავს?**

— ჩვენ ლოგოზე წაიკითხავთ: ПРО ОБЩЕНО ПУБЛИЦО, რაც ნიშნავს — საზოგადოების საკეთილდღეოდ. ამ ეტაპზე, საზოგადოებრივ მოძრაობად ვრჩებით. გამორიცხული არაფერია.

— **კრემლიდან მომავალ საფრთხეებზე ვსაუბრობდით. ევროპარლამენტის კრიტიკული რეზოლუციის ფონზე, რუსეთიდან პოზიტიურ განცხადებებს რით ხსნით?**

— იმის ნაცვლად, ხელისუფლებას ევროპარლამენტის რეზოლუცია სერიოზულად შეეფასებინა, მისი დაკნინება დაიწყო და პუტინის რუსეთის კილოკავი გაიმეორა. კოალიცია აცხადებს, რომ რეზოლუციის ტექსტი ნაციონალების კარგი მუშაობის შედეგია. რა სისულელეა, კარგი თუ ცუდი მუშაობით ვერავის მოატყუებ. საპარლამენტო ასამბლეაში წარმოდგენილ თითოეულ ქვეყანას აქ წარმომადგენლები ჰყავს. თანაც ინტერნეტის ერაში ვინ უნდა მოვატყუოთ? ახლა საჭიროა რეზოლუციაში მითითებული საკითხების გამოსწორება და ზოგადად, ქვეყნისთვის უფრო სასარგებლო და ბრძნული ნაბიჯების გადადგმა. ევროსაბჭო ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეა, ჩვენი გარემოა და საქართველოს, როგორც ქვეყანას მის გარდა მომავალი არ აქვს. ამის ალტერნატივა მონობა და სრული დეზინტეგრაციაა, რასაც პუტინის რუსეთი გვიქადის. მას უნდა, მეზობელ ქვეყნებში ჰეგემონი გახდეს. ისინი ზურგს უკან ათრიოს და განვითარების საშუალება არ მისცეს. მათ მიუფურთხებიათ ქართველი ხალხის ინტერესებზე. საქართველო მათთვის მხოლოდ ტერიტორიაა, როგორც ეს წლების განმავლობაში იყო. ამიტომ ყველანაირი ენის მოჩლექა და ბაზრის გაღება მხოლოდ სატყუარაა.

— **რამდენიმე დღეში სომხეთი ევრაზიული კავშირის წევრი გახდება. საქართველოც დგას ამ საფრთხის წინაშე?**

— ამ საფრთხის წინაშე ვდგავართ და ვიქნებით, სანამ ეს უაზრო კავშირი არსებობს. ხელისუფლებას ამ საფრთხეების გააზრება უჭირს, რადგან კოალიციის ნაწილი პრორუსული ძალების წარმომადგენელია. ეს განსაკუთრებით პარლამენტში ჩანს. ვინაობას არ დავაკონკრეტებ, საზოგადოებამ ისედაც იცის და ჩემგან დაკონკრეტება, ადრესატებისთვის ზედმეტი პატივი იქნება.

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

არასამთავრობოები ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედების გადავადებას აპროტესტებენ

პარლამენტში მთავრობის მიერ ინიცირებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების თანახმად, ქვეყნის მასშტაბით ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება 2016 წლის 1 ოქტომბრამდე გადავადდება. ამჟამად ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მხოლოდ თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებში ფუნქციონირებს. ამოქმედების თარიღის ორი წლით გადავადების მიზეზად შემდეგი არგუმენტები სახელდება: ბიუჯეტში საჭირო თანხების არარსებობა; ორგანიზაციული და ფინანსური სირთულეებიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის სხდომის დარბაზების ვერმომზადება; ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული საქმეების გაჭიანურება; ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების დეფიციტი და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა არაკვალიფიციურობა. ამ ფონზე, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებული მოდელის რეფორმა აუცილებელია.

ეს არგუმენტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის არასაკმარისი და უსაფუძვლოა. მათი აზრით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებისთვის სათანადო წინაპირობის არშექმნაზე პასუხისმგებლობა პარლამენტს, მთავრობასა და სასამართლოს თანაბრად ეკისრება. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 2014 წლის კანონის თანახმად, სისხლის სამართლის სისტემის, მათ შორის, ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის რეფორმისთვის 8 მილიონ 800 ათასი ლარი იყო გამოყოფილი და გაუგებარია, სისტემის ამოქმედება რატომ ვერ ხერხდება.

კანონპროექტის მომზადებისას კონსულტაციები მხოლოდ პროკურატურასთან გაიმართა, არადა პროცესში აუცილებლად უნდა ჩართულიყო სასამართლო. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ შესაძლებელი იყო ინსტიტუტის ეტაპობრივი ამოქმედება. მათი თქმით, ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის ქვეყნის მხოლოდ ცალკეულ ტერიტორიაზე მოქმედება, მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს ეწინააღმდეგება. მათ მიაჩნიათ, რომ პარლამენტმა ინსტიტუტის გადავადების საკითხი უნდა შეისწავლოს და მთავრობას კონკრეტული გეგმის წარმოდგენაც მოსთხოვოს.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე **ვახტანგ ხმალაძე,** „ვერსიასთან“ საუბრისას, ადასტურებს, რომ ის აუცილებელი სამუშაო, რომელიც ყველა სასამართლოსა და დანაშაულზე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის

„მშიერ-მწყურვალი მოსახლეობიდან მიწვეული მსაჯული სამართლიანობის საზომი ვერ იქნება“

გამოყენებას შესაძლებელს გახდის, არ ჩატარებულა:ჲ**„მთავრობის ძირითადი არგუმენტი სასამართლო დარბაზების, პროკურორებისა და ადვოკატების მოუმზადებლობა, ასევე, მსაჯულთა შერჩევა და კანდიდატების ტრენინგი იყო... ისე მიმაჩნია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ჩვენს ქვეყანაში კარგად ვერ იმუშავებს“.**

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი **არჩილ კაიკაციშვილი** ამბობს, რომ ამ სისტემის შენარჩუნების აუცილებლობა უნდა დასაბუთდეს: **„არსებობს რისკი, ნაფიცმა მსაჯულებმა ვერ მიიღონ სათანადო გადაწყვეტილება და მართლმსაჯულების რეალური დანიშნულების იგნორირება მოხდეს... სისტემის დანერგვისას უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოების რეალური განწყობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ, მოქალაქეების სამოქალაქო პასუხისმგებლობის ხარისხი, შესაძლო ნაფიცი მსაჯულების საქმესთან ფარული შემხებლობა, ბრალდებულთან სიახლოვის საკითხი და ზეგავლენის დაშვება. ამ ინსტიტუტის პოპულარობა, მის შემქმნელ ქვეყნებშიც კი, დაბალია. ასევე, მსაჯულთა საჭიროებისთვის, სახელმწიფოს მხრიდან გაღებული ხარჯები უნდა შეფასდეს. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას პოზიციის გონივრულ ვადებში წარმოდგენისკენ მივუთითეთ. ხელისუფლებამ ამოქმედების გადავადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ მნიშვნელოვანია დასაბუთება, ეს რის საფუძველზე მოხდა. უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ჯერ სასამართლოსთვის მიგვეხედა. სჯობს, ქართული სასამართლო შედგეს როგორც დამოუკიდებელი, თანასწორუფლებიანი სისტემა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გამოყენებაზე მერე ვიფიქროთ.“**

„ექსპერტთა კლუბის“ პრეზიდენტის, **სოსო ცისკარიშვილის** შეფასებით, ქართულ სასამართლო სისტემას შესაბამისი კულტურა არ აქვს, რომ ნაფიც მსაჯულთა სისტემის გამოყენება ისე დაიწყოს, მას სერიოზული ჩრდილი არ მიაყენოს და იდეა სამუდამოდ არ დამარხოს: **„უპრიანი იქნებოდა, რამდენიმე სასამართლო სხდომა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით, შეგვეფასებინა. ჩემთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია სიკეთეზე არ მიგვითითებს — მსაჯულთა მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა გულგატეხილი და აღშფოთებული იმ უსამართლობით, რისი თანამონაწილეც უნებურად გახდა; მეორე მხრივ, ჩვენი მართლმსაჯულების მონაწილეებს არც შესაბამისი მეტყველების უნარი აქვთ და არც — მტკიცებულებების წარმოდგენის პრაქტიკა. 10 წლის განმავლობაში, მხოლოდ ბრძანებას ასრულებდნენ და ნაფიცი მსაჯულები კი არა, ადვოკატიც არ სჭირდებოდათ. კანონმდებლობის დახვეწაც აუცილებელია — რომელიმე მოქალაქისთვის განაჩენის მხოლოდ იმიტომ გამოტანა, რომ ვალდებული ხარ, მსაჯული გახდე, უფრო კომიკურ მდგომარეობამდე მიგვიყვანს. ნაფიც მსაჯულთა სისტემის დამკვიდრების არც პოლიტიკური ნება ჩანს და არც უნარი. ვიდრე პროკურატურა და სასამართლო იმ ადამიანებისგან არ გაიწმინდება, რომლებიც ათეული წლის განმავლობაში, ქართულ მართლმსაჯულებაში უსამართლობასა და უნამუსობას ამკვიდრებდნენ, სისტემას ვერც მსაჯული უშველის და ვერც შენობის თითოეულ მეტრზე დაყენებული შეიარაღებული დაცვა. ამ ინსტიტუტის შემოსაღებად მზად თავად საზოგადოებაც უნდა იყოს. ახალგაზრდებში მსაჯულთა საჩვენებელი ტრენინგების დანერგვა უნდა დავიწყოთ, თორემ მშიერ-მწყურვალი მოსახლეობიდან მიწვეული მსაჯული სამართლიანობის საზომი ვერ იქნება“.**

პატიმარი №0578

ბაჩო ახალაიას ბავშვობის მეგობარი „უკანასკნელი ქურდი“

როგორ მაღავდნენ ზონებზე ძებნიდ და გამოძაღვის მიზნით გაფაცებულ ადამიანებს

იმის მიუხედავად, რომ 21-ე საუკუნეში, წესითა და რიგით, ქურდობასა და „კაი ბიჭობაზე“ ბევრი არ უნდა ფიქრობდეს, ციხე სავსეა მოზარდებით, რომლებსაც ცხოვრების წესად სწორედ „ქურდული“ აურჩევიათ. ძველი პატიმრები კი, რომლებსაც ამგვარი ცხოვრება გავლილი აქვთ, დანანებით ამბობენ, თავს იღუპავენ, „ქურდული“ ქურდებს აღარ უნდათო...

რუსთავის №17 დაწესებულებაში პატიმარი იჯდა. კვირაში ერთხელ თუ იტყოდა რამეს, მაგრამ რაც უნდა ეთქვა, ყველა გასუსული უსმენდა. „კაი ბიჭების“ საკანში საუკეთესო ადგილზე ჰქონდა ნარი და ყველა პატივისცემით ეპყრობოდა. როცა სერიოზული რამ ხდებოდა, „მაყურებლები“ მას ეძახდნენ.

„ვინ არის?“, — იკითხა ერთ დღეს პატიმარმა №0578-მა, როცა დაჩი ფ-ს უცნაური ქცევა შენიშნა.

„ჩათვალე, ქურდია. დრო იყო, ზონებს აზანზარებდა. სადაც მიდიოდა, „პალაჟენია“ მიყავდა. მაგის პატიმრებსაც ეშინოდათ და ადმინისტრაციასაც. ანგარიშს უწევდნენ“...

„სიმაღლეში მეტრანახევარიც არ იქნება, წონაში 30 კილო და ამის ეშინოდათ?!“, — გაოცდა პატიმარი.

„ჩუმად, არ გაგიგოს“, — გააჩუმეს №0578, მაგრამ ახლოსმდგომმა დაჩიმ ყველაფერი გაიგო, მშვიდად გახედა უცნობ პატიმარს.

ორი დღის შემდეგ 67-ე საკნის კარი დაჩიმ შეაღო, №0578 პატიმრის ნარზე ჩამოჯდა. №0578 მიესალმა, ჩაი შესთავაზა. თუ გაქვს, ყავა მირჩევნიაო, უთხრა სტუმარმა. ხუთ წუთში ერთი ჭიქიდან ყავას წრუპავდნენ.

„სიმაღლე და წონა მთავარი არ არის. მთავარი გული და გონებაა. ახლა რომ ვეუბნები ამ „ბლატატას“, წიგნი წაიკითხეთ-მეთქი, მეუბნებიან, ჩვენ წიგნი კი არა, ქურდული გვაინტერესებსო. გაუნათლებელი ქურდები არ იყვნენ ადრე. ახლა თითებზე დასათვლელად დარჩნენ ნამდვილი ქურდები. განათლებული კაცი ხარ, უბრალოდ ქურდული ტერმინოლოგია არ იცი, თორემ ცოტა აქაური „ტაჩოვკა“ რომ მიიღო, ნებისმიერს აჯობებ ბაზარში“.

„დაჩი, შენზე ლეგენდებს ყვებიან. ზოგი ამბობს, ქურდია, მაგრამ ჩუმად არის, სროკი რომ არ დაუმატონო. აქედან გასვლის შემდეგ ჩანაწერების გაკეთებას ვაპირებ, თუ მომიყვები, შენს ისტორიასაც დავწერ“, — უთხრა №0578-მა.

„არ დაწერ რა მქვია, იმიტომ რომ სახელითაც ყველა მიხვდება ვინ ვარ (პირობა შევასრულე, რადგან მართლაც ისეთი სახელი ერქვა, 3000 პატიმარში ერთადერთი იყო). რასაც მოვყვები, ისე დაწერ, არ მინდა შელამაზება და სენტიმენტები... ისე, რა საინტერესო სიტყვაა ეს სენტიმენტები... მაგრად ვკაიფობ. ზოგადად, უცხო სიტყვებზე ვკაიფობ, ამ ახლადგამომცხვარ ბლატატას რომ ვეუბნები, უცხო სიტყვათა ლექსიკონში ეძებენ. იდიოტები... ჰგონიათ, ჩემს ბაგეთაგან მხოლოდ ჭეშმარიტი ქურდული ისმის...“

„და მაინც, რატომ დაგიჭირეს და რატომ ეშინიათ თუ პატივს გცემენ?! თითქმის არ ლაპარაკობ... ვინ ხარ?!“

„ჩემი დაჭერა ამერიკულ ფილმს ჰგავდა. ორი ვერტმფრენი, სპეცდანიშნულების რაზმი... მერე საინფორმაციოებში ტრიალი, რომ საშიში დამნაშავე დაიჭირეს. 19 წლის ვიყავი, ქურდობა მართლა მინდოდა, ცოტა დამაკლდა. მაშინ ზონები ასე არ იყო. ბარაკებად ცხოვრობდნენ. ზონაზე რომ მომიყვანეს, ქურდების ბარაკში შემიყვანეს. გარეთ ისე ვიცხოვრე, ვიმსახურებდი. 20 წლისა მაყურებელი გავხდი. იმ ზონაზე შვიდი ქურდი იჯდა, არ იყო მარტივი — ნებისმიერი შეცდომა შესაძლოა სასიკვდილო განაჩენი ყოფილიყო. ზონაზე წამალი იყო, ქალები ნებისმიერ დროს შეგეძლო მოგეყვანა, საჭმელ-სასმელი — ოხრად“...

„ამბობენ, მანქანების ვაზვრატები ციხიდან კეთდებოდაო, მართალია?!“

„მარტო მანქანების?! რუსთავის პირველ ზონაში ერთი ჩვენი ძმაკაცი იმალებოდა, ძებნაში იყო, საქართველოდან ვერ გავიდა, ზონაზე შემოვიყვანეთ, ჩვენთან ცხოვრობდა, პოლიცია კი 6 თვე გარეთ ეძებდა. შემდეგ წავიდა და წავიდა... ბიზნესმენებისთვის ოჯახის წევრი მოუტაციათ და ზონაზე გვყოლია, სანამ ფულს გადაიხდიდნენ. „ობშიაკი“ მე მებარა და იცი, რამდენი იყო მაშინ?! — ნახევარ მილიონ დოლარამდე, ქეშად. ახლა, ამათ რომ ნახევარი მილიონი მისცე, ვერ დათვლიან...“

„რატომ ამბობენ შენზე ქურდია, მაგრამ არ ამბობსო?!“

„გადაწყდა ჩემი მონათვლა, შეიკრიბა შვიდი ქურდი. ერთმა კი, ციხის რეზბალნიციდან დარეკა, დაჩისთან კითხვები მაქვს, მალე მანდ ვიქნები, ჯერ არ მონათლოთო. ორ კვირაში მოვიდა, დამისვა კითხვები, ვუპასუხე, ავხსენი... „ობშიაკს“ ეხებოდა. მერე მე დავუსვი კითხვები იმ „ობშიაკზე“, რომელიც მას ებარა და იქ დამთავრდა იმის ქურდობა. გადაწყდა, ერთ კვირაში შეიკრიბებოდნენ და „მომნათლავდნენ“, მაგრამ ერთ კვირაში ქურდები ზონებიდან გააქრეს... ბაჩო ახალაიას ბავშვობიდან ვიცნობ, ორთაჭალაში ვიყავი, ბუნტი რომ დაიწყო. უფრო სწორედ, წინა დღეს გამომიშვეს რუსთავში. გამიკვირდა, ეტაპს არ ველოდი. მეორე დღეს მივხვდი, რაც მოხდა. ბავშვობის მეგობრობის ხათრით გამიფრთხილდა ბაჩო ალბათ, მაგრამ, როცა რუსთავის ზონაზე მოვიდა, პირდაპირ ვაგინე. არაფერი უთქვამს. მერე შემომითვალა, სიკვდილს გადავარჩინე და უმადური ყოფილაო. რაც მან გააკეთა, არ უნდა აცოცხლოს კაცმა... ახლა რომ „კაი ბიჭები“ „რამკებს“ ამტვრევენ, ჯართისა და მანქანის სარკეების მოპარვაზე არიან ძირითადად. მაშინ ამას ქურდობა არ ერქვა, ბაცაცობა უფრო იყო“...

„შენ რაზე დაგიჭირეს?!“

„უინტერესოა, დამიჯერე. დიდ სისულელეზე... ზოგადად, სისულელეა ეს ყველაფერი. ქურდები მაფიოზები გახდნენ, წამლის ბიზნესშიც ჩაყეს ცხვირი, იქ კომერსანტობა დაიწყეს, დაცვით დადიან. მორჩა ქურდული, მაგრამ ამ პატარებს ამის გაგება არ უნდათ“.

„გარეთ რომ გახვალ, რას აპირებ?!“

„ცოლს უნდა გავშორდე და მეორე მოვიყვანო. მე და ერთ გოგოს სიგიჟემდე გვიყვარდა ერთმანეთი. რომ დამიჭირეს, აქ მოვაწერეთ ხელი. ზონაზე შემოდიოდა და რჩებოდა. შვილიც გვეყოლა, მაგრამ ჩემი პროტესტის მიუხედავად, საცხოვრებლად ესპანეთში წავიდა. არადა, თვეში მინიმუმ ორი ათას დოლარს ვუგზავნიდი ზონიდან. ვერ ვაპატიებ... მიმატოვა აქ და ეს ჩემთვის ღალატია. არ აქვს მნიშვნელობა, ჰყავს თუ არა ვინმე გარეთ. მთავარია, მიმატოვა. მერე გამოჩნდება რამე. მოპარვას აზრი არ აქვს. მსხვილი ქურდობა არ გამოვა. ჯერ ერთი, საამისოდ ფინანსებია საჭირო და მეორეც, ძნელია ვინმეს ენდო. ორი სახლი მაქვს თბილისში, ერთს გავყიდი და ეგებ რამე დავიწყო...“

* * *

დაჩის ცოლი ჯერ არ მოუყვანია. არც ცოლ-შვილი უნახავს და მართალია, ერთი ბინა გაყიდა, მთელი ფული დედის მკურნალობას მოახმარა. ახლა თბილისში ცხოვრობს. ისევ ისეთია, ჩუმად დადის, ხმას არ იღებს და ვინც ცნობს, გაოცებით უყურებს, როგორ დაჭკვიანებულაო. ხანდახან უბნის ბიჭები რჩევისთვის ადიან, მაგრამ რჩევაზე უარს ეუბნება — საქმე ნახეთ, ამ სისულელეს შეეშვით, ქურდები დინოზავრებივით გადაშენდნენო. არადა, ამბობენ, ერთ-ერთი უკანასკნელი დინოზავრი თავად არის, მაგრამ არ აღიარებსო...

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„პანკისიდან სირიაში მოქალაქეების გადინების კონტროლი შეუძლებელია“

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო და სახაზინო დეპარტამენტებმა გამოაქვეყნა შავი სია, სადაც ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი ოცზე მეტი ადამიანია შეყვანილი. სიაში ომარ ალ შიშანის სახელით, ქართველი თარხან ბათირაშვილიც ფიგურირებს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ნუსხაში ჩეჩენი ტერორისტი მურად მარგოშვილიცაა, რომელმაც სირიაში ტერორისტების საწვრთნელი ბაზა ჩამოაყალიბა. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, **ირაკლი სესიაშვილის** ინფორმაციით, პანკისიდან სირიაში მოქალაქეების გადასვლა გახშირდა. მისი თქმით, გადინების კონტროლი შეუძლებელია, თუმცა მიგრაცია-ემიგრაციასთან დაკავშირებული საკითხის დარეგულირების მიზნით, საქართველო უახლოეს მომავალში, გაერო-სა და ევროკავშირის რიგ საერთაშორისო რეზოლუციას შეუერთდება: **„ეს გლობალური პრობლემაა. ასეთ ტერორისტულ ორგანიზაციებში გადინების პროცესის შეჩერება რთულია — არიან ადამიანები, რომლებსაც ქვეყნიდან გასვლისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევაც კი არ აქვთ. ამ ფონზე, წინასწარ განსაზღვრა, რომ ისინი ტერორისტულ ქმედებებში ჩაერთვებიან, შეუძლებელია. საჭიროა დარეგულირდეს, მაგალითად, მათი დაბრუნების შემთხვევაში, როგორ უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ. რეგულაციას მოითხოვს ასევე ტერორისტული ორგანიზაციებისა და მათთან დაკავშირებული პირების ფინანსური საქმიანობის კონტროლი. ამის გამოცდილება ევროკავშირის ქვეყნებს აქვთ. გარდა ამისა, არსებობს საერთაშორისო რეზოლუციები და ვეცდებით, ყველა დოკუმენტს შევუერთდეთ, რათა დავამკვიდროთ საერთაშორისო საზოგადოებაში მიღებული სტანდარტი“.**

დეპუტატის თქმით, საქართველო სოლიდარულია ყველა ანტიტერორისტული ღონისძიებისა და **„ეს ხდება არა ვინმეს წინააღმდეგ, არამედ ჩვენი ქვეყნისა და ზოგადად, რეგიონის უსაფრთხოებისთვის“.**

სამხედრო ჟურნალ „არსენალის“ რედაქტორი **ირაკლი ალადაშვილი** „ვერსიასთან“ აცხადებს, რომ მოქალაქის შეზღუდვა ქვეყნიდან გასვლა-შემოსვლაში არაკონსტიტუციურია, თუ რაიმე დარღვევა არ აქვს და სამართალდამცავების ან სასამართლოს მიერ არ იძებნება, ამის უფლება არავის აქვს. ამ ფონზე, ძნელია გაიგო, ადამიანი თურქეთში მიდის სამუშაოდ, თუ იქიდან შეიძლება სირიაში ან სხვა ქვეყანაში საბრძოლველად გაემგზავროს: **„მეორე მხრივ, სპეცსამსახურები იმისთვის არსებობს, ასეთი პოტენციურად საშიში ადამიანების სია მოიპოვოს, დაამუშაოს და გააანალიზოს. მით უმეტეს, ეს განსაკუთრებულ საიდუმლოებას არ წარმოადგენს. პანკისში ბევრმა კარგად იცის, ვისი შვილი სად მიდის. ხეობა პატარაა, ინფორმაცია არ იმალება. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი, სპეცსამსახურებმა მათზე მკაცრი ზედამხედველობა უნდა დააწესონ, სპეციალური დოსიეები უნდა შეიქმნას, რათა ისინი, მომავალში, რომელიმე ტერორისტულმა ორგანიზაციამ არ გამოიყენოს“.**

რაც შეეხება საერთაშორისო დოკუმენტებთან მიერთებას, ალადაშვილის თქმით, მათ შორის გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ქვეყნებმა, რომელთა მოქალაქეები ერაყში, სირიასა და სხვაგან იბრძვიან, კონტროლი უნდა გაამკაცრონ: **„ჩანს, ამ ქვეყნებთან საქართველოს შეერთებაზეა საუბარი. თუ საქართველოდან სირიაში რამდენიმე ათეული ადამიანი იბრძვის, რუსეთიდან იქ უკვე ასობით მებრძოლია, ევროპიდან საუბარია 3 ათას ადამიანზე, აშშ-დანაც არიან — პრობლემა ყველა ქვეყანაშია. მეზობელი აზერბაიჯანიდან იქ კიდევ უფრო მეტი ადამიანი იბრძვის... მათი მთავარი მამოძრავებელი გაჭირვებაა. ძირითადად, სოფლის ახალგაზრდობა მიდის, რადგან სხვა სამსახურის პოვნა რთულია. მით უმეტეს, განათლების მაღალ დონეს საჭიროებს, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ჯარში კონტრაქტით წასვლა და მინიმუმ 1000 ლარის აღება (თუ ავღანეთში მოხვდნენ, დამატებით ათასი დოლარია) კი, მათთვის მნიშვნელოვანია. თუმცა პანკისის ხეობაში ინფორმაციაც გავრცელდა, ვინც სირიიდან დაბრუნდა, იმედი გაუცრუვდაო. არც ისაა გამორიცხული, თავის მხრივ, ვაჰაბიტური მოძრაობის წარმომადგენლები რელიგიური მრწამსით მიდიან“.**

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ სისხლის ბანკის/პლაზმაცენტრისა და შესაფუთი მასალის წარმოებას თანადაფინანსებას გაუწევს

„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში, ქვეყანაში ორ ახალ წამოწყებას შეეწყობა ხელი — შეიქმნება სისხლის ბანკი/პლაზმაცენტრი და შესაფუთი მასალების საწარმო.

ხელშეკრულება საქართველოს მეწარმეობის განვითარების სააგენტომ უკვე გააფორმა ორ ახალ კომპანიასთან — შპს „ჰემოლაინი“ და შპს „დამზადებულია საქართველოში №1“. შედეგად, აღნიშნული საწარმოები ბიზნესის განვითარებისთვის შეღავათიანი პირობებით სოლიდურ თანხებს მიიღებენ. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ინვესტიციების წარმატებით ათვისებისათვის, ბიზნესის მართვის ყველა ეტაპზე კომპანიები პროფესიონალთა რჩევებს მიიღებენ და გაივლიან უნარების ამაღლების ტრენინგებს.

„მოხარული ვარ, რომ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში კიდევ ორი ახალი საწარმო გაიხსნება. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, რათა ქვეყანაში მეტი წარმატებული საწარმო შეიქმნას. გვახარებს ის ფაქტი, რომ „ჰემოლაინისთვის“, საქართველოს ბანკმა 850 000 აშშ დოლარის სესხი გამოყო, ჩვენი სააგენტო კი პირველი 2 წლის განმავლობაში სესხის მთლიანი საპროცენტო განაკვეთიდან 10%-ს დააფინანსებს. რაც შეეხება შპს „დამზადებულია საქართველოში №1“-ს, მისთვის 1 100 000 აშშ დოლარის სესხის გაცემა „ქართუ“ ბანკმა უზრუნველყო. ამ შემთხვევაშიც, სააგენტო პირველი 2 წლის განმავლობაში მოახდენს სესხის მთლიანი საპროცენტო განაკვეთიდან 10%-ის თანადაფინანსებას“, — განაცხადა საქართველოს მეწარმეობის განვითარების დირექტორმა **გიორგი ციკოლიამ.**

შპს „ჰემოლაინის“ დირექტორი, ირაკლი რაინაული განმარტავს, რომ პროექტის საინვესტიციო ღირებულება ამ ეტაპზე 1 500 000 აშშ დოლარია. წარმოება თბილისში აეწყობა და დაახლოებით 15 ადამიანს დაასაქმებს. სისხლის ბანკისა და პლაზმაცენტრის ამუშავება 2015 წლის თებერვალშია დაგეგმილი. კომპანიის პროდუქციის ძირითადი მომხმარებლები სამედიცინო სტაციონარული დაწესებულებები და ფარმაცევტული ქსელები იქნებიან.

„პროექტი „აწარმოე საქართველოში“ ითვალისწინებს სახელმწიფოს თანამონაწილეობას კრედიტის 10%-ის დაფინანსებაში 2 წლის მანძილზე. სწორედ ეს ფაქტორი იყო მნიშვნელოვანი — ასეთი შეღავათიანი პირობების გარეშე, ჩვენი ბიზნესგეგმის განხორციელება, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენ ვგეგმავთ დონორული სისხლის კომპონენტების დამზადებას, ასევე სისხლის პლაზმიდან უნიკალური ფარმპროდუქტების წარმოებას და საქართველოს ბაზარზე რეალიზაციას. წარმოებაში გამოყენებული იქნება სისხლის ლაბორატორიული კვლევისა და შენახვის საერთაშორისო სტანდარტები, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას“, — განაცხადა **ირაკლი რაინაულმა.**

რაც შეეხება მეორე ბენეფიციარს, შპს „დამზადებულია საქართველოში №1“ აწარმოებს სხვადასხვა სახის შესაფუთ მასალებს (შესაფუთი პაკეტები, სტიკერები, ფასის მაჩვენებლები, ეტიკეტები, იარლიყები და სხვ.) როგორც ჩვეულებრივ, ასევე თვითნებად ქაღალდზე. აღნიშნული პროდუქციის ძირითადი მომხმარებლები საქართველოს ბაზარზე მომუშავე კომპანიები იქნებიან, რომლებიც საკუთარ წარმოებაში, ან მომსახურებაში ეტიკეტებსა და იარლიყებს იყენებენ.

„პროექტის საინვესტიციო ღირებულება ამ ეტაპზე 1 500 000 აშშ დოლარია. სააგენტოს თანადაფინანსებით, წარმოება თბილისში აეწყობა და 60-მდე ადამიანის დასაქმებას შევძლებთ. გეგმის მიხედვით, საწარმოს ამუშავება 2015 წლის თებერვალში უნდა მოხდეს. ჩვენ ვიყენებთ უახლეს დანადგარებს, რაც პროდუქციის მაღალ ხარისხზე აისახება და შევძლებთ მომხმარებელს კონკურენტებთან შედარებით დაბალი ფასი მივაწოდოთ“, — განაცხადა კომპანიის დირექტორმა **ნიკოლოზ დეკანოსიძემ.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, **ქეთევან ბოჭორიშვილის** განმარტებით კი: **„2014 წლის ივნისიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებენ პრემიერ მინისტრის ინიციატივით შექმნილ ახალ სამთავრობო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“, რომელიც მიმართულია წარმოების შემდგომი განვითარებისა და წახალისებისაკენ. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ხდება ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივება, უძრავი ქონებით უზრუნველყოფა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა“.**

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ დამტკიცებული 12 პროექტის ფარგლებში, არსებული საწარმოები, ჯამში დაახლოებით 16 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებენ. ამჟამად მეწარმეობის განვითარების სააგენტოს პარტნიორი ბანკები 25-მდე პროექტს განიხილავენ.

სუდოკუ

ადვილი

6	5				1		9	
				5			6	
	2	9				5		3
			2	1	6	8		
		8				9		
		2	7	9	8			
2		1				4	8	
	8			7				
	7		4				1	9

სტანდარტი

8			6			3		
				2	8			6
					9			4
		3	9	8		7	6	
		1				5		
	8	7		6	1	4		
4			1					
5			8	4				
		8			7			3

რთული

9								
		7	3				4	2
		4			7	3		8
					6		5	3
8	5						2	9
4	3		1					
3		5	8			7		
7	4				1	2		
								1

ექსპერტი

		7	4	3	1	2		
	4			8				
3					5		1	
2		6					8	
			8		7			
	1					9		7
	2		3					9
				5			7	
		9	7	1	6	5		

სპა-ცენტრი ლოთეჭისთვის

ცოტა ხნის წინ ლას-ვეგასში კომპანიამ Reviv უჩვეულო სპა-ცენტრი The Hydration Medspa გახსნა, რომლის კლიენტებიც ის ადამიანები არიან, ვისაც ალკოჰოლური ინტოქსიკაცია ემართება. კომპანია ოთხმა ექიმმა დააფუძნა, რომლებიც საავადმყოფოს მისაღებში მუშაობენ. ახალ სპა-ცენტრში პროფესიული მედდები და პარამედიკოსები არიან დაკავებულნი. როგორც კი კლიენტი დაწესებულების ზღურბლს გადალახავს, მას ტყავის სავარძელზე სვამენ და გამოჯანმრთელების კურსს სითხის, ვიტამინებისა და მინერალების დახმარებით უტარებენ. სპა-ცენტრის დევიზია: „რასაც ცხოვრება გართმევთ, Reviv გიბრუნებთ“. უბრალო გაუწყლოების დროს პაციენტს წვეთოვანს უდგამენ ელექტროლიტებით. უფრო გართულებული მდგომარეობისას საჭირო ხდება პროცედურა, სახელწოდებით MegaBoost Wellness Infusion, რომლის დროსაც კლიენტი იღებს აუცილებელ მედიკამენტებს, ანტიოქსიდანტებსა და იმუნიტეტის ასამაღლებელ სხვა საშუალებებს.

„მამაკაცი“ მარტოხელა ქალებისთვის

არ ხვრინავს, არ ყრის სახლში ტანსაცმელს, არ ბუზღუნებს, არ გეკითხებათ, რა იქნება ვახშმად და არც გიღალატებთ. მას მხოლოდ ჩახუტება უყვარს და თქვენი სხეულის სითბოს შეგრძნება. ეს იდეალური „მამაკაცი“ უბრალოდ ბალიშია, რომელიც ერთ-ერთი უცხოური ონლაინმაღაზიის დაკვეთით დაამზადეს. ლოგინის ეს ატრიბუტი კაცის სხეულის ფორმას იმეორებს და მისი გარეცხვა სარეცხ მანქანაშიცაა შესაძლებელი. სულ რაღაც 35 დოლარად მსურველებს რბილი და თბილი „კომპანიონი“ ეყოლებათ. აღსანიშნავია, რომ არსებობს ბალიშის „ქალი-ვერსიაც“, რომელიც 10 დოლარით იაფი ღირს ალბათ იმიტომ, რომ „პერანგიანი მამაკაცისგან“ განსხვავებით, სამოსი არ აქვს.

უჩვეულო ვაკანსია რეპერისგან

ამერიკელი რეპერი ხოაკინ მალფურსი, რომელიც Waka Flocka Flame-ს სახელითაა ცნობილი, აპირებს წელიწადში 50 ათასი დოლარი გადაუხადოს ადამიანს, რომელიც მისთვის პროფესიულად გადაახვევს მარიხუანას. ამ ვაკანსიაზე რეპერი ნებისმიერ ადამიანს აიყვანს, რომელიც საკუთარ ოსტატობას დაამტკიცებს და „შრომის“ შედეგს „ინსტაგრამში“ წარმოადგენს. Waka Flocka Flame-ს უამრავი ფანი უკვე გამოეხმაურა შეთავაზებას. თავად მომღერალი კი დუმს იმის თაობაზე, ამ სამუშაოს შემსრულებელი რა შეღავათებსა და პრივილეგიას მიიღებს. ექნებათ თუ არა პროფესიონალ „შემხვევებს“ შეხება მარიხუანას განუსაზღვრელ რაოდენობასთან? — აინტერესებთ ჟურნალისტებსაც. აღსანიშნავია, რომ რეპერი პირველად არ ხვდება ყურადღების ცენტრში ამ მავნე ჩვევის გამო — სამი წლის წინ ნარკოტიკის შენახვისთვის იგი დააპატიმრეს კიდეც.

წინა ნომერში გასუდოკუ სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

6	5	9	1	8	4	3	7	2
4	3	2	9	7	6	8	5	1
1	8	7	5	3	2	9	4	6
3	1	8	7	4	9	6	2	5
9	2	5	6	1	8	7	3	4
7	6	4	2	5	3	1	8	9
2	4	6	3	9	7	5	1	8
5	9	3	8	2	1	4	6	7
8	7	1	4	6	5	2	9	3

სტანდარტი

4	5	1	3	2	6	9	8	7
7	8	6	5	9	1	4	3	2
3	2	9	4	8	7	6	1	5
2	1	8	7	6	4	5	9	3
9	7	5	2	3	8	1	6	4
6	4	3	1	5	9	7	2	8
5	3	7	9	1	2	8	4	6
8	9	4	6	7	3	2	5	1
1	6	2	8	4	5	3	7	9

ადვილი

4	7	5	3	8	2	1	9	6
3	2	1	9	7	6	5	8	4
9	6	8	5	4	1	3	7	2
2	1	3	8	6	9	4	5	7
7	9	6	4	5	3	2	1	8
8	5	4	2	1	7	9	6	3
1	8	2	7	3	5	6	4	9
6	4	9	1	2	8	7	3	5
5	3	7	6	9	4	8	2	1

სტანდარტი

4	9	2	3	1	8	7	6	5
7	5	1	6	2	9	4	3	8
6	3	8	7	4	5	2	1	9
3	2	5	4	9	7	1	8	6
1	8	4	5	3	6	9	2	7
9	7	6	2	8	1	5	4	3
5	1	3	8	7	4	6	9	2
2	6	9	1	5	3	8	7	4
8	4	7	9	6	2	3	5	1

რთული

6	3	8	2	7	1	9	5	4
5	4	2	3	9	8	1	7	6
1	9	7	6	5	4	3	2	8
4	2	3	8	1	9	7	6	5
9	7	6	5	3	2	8	4	1
8	5	1	7	4	6	2	3	9
7	1	9	4	2	5	6	8	3
3	6	5	1	8	7	4	9	2
2	8	4	9	6	3	5	1	7

ექსპერტი

3	7	4	1	9	8	6	2	5
2	5	1	7	6	4	3	9	8
9	8	6	2	5	3	1	7	4
6	3	7	5	1	2	4	8	9
1	9	5	8	4	7	2	6	3
4	2	8	6	3	9	5	1	7
8	4	3	9	2	6	7	5	1
7	1	2	4	8	5	9	3	6
5	6	9	3	7	1	8	4	2

რთული

3	7	8	6	5	2	4	1	9
1	9	6	8	7	4	3	5	2
5	4	2	1	3	9	8	7	6
4	6	5	7	2	8	9	3	1
2	8	3	9	1	6	7	4	5
9	1	7	3	4	5	6	2	8
6	5	4	2	9	7	1	8	3
8	2	1	4	6	3	5	9	7
7	3	9	5	8	1	2	6	4

ექსპერტი

7	6	5	4	3	2	1	9	8
9	8	4	7	6	1	2	5	3
1	3	2	9	8	5	7	6	4
4	1	9	8	7	6	5	3	2
8	7	3	2	5	4	9	1	6
2	5	6	3	1	9	4	8	7
3	2	8	1	9	7	6	4	5
6	9	7	5	4	8	3	2	1
5	4	1	6	2	3	8	7	9

მე-10 გვერდი: 1. ოლეანდრი; 2. ლილიფარა; 3. დიაგონალი; 4. ილია; 5. ტრიპტიქი; 6. რიკული; 7. პაპირუსი; 8. იგლუ; 9. ბლინდაჟი; 10. ლიფსიტა; 11. მუხამბაზი; 12. კომილფო; 13. აკაპულკო; 14. ომერტა; 15. ათინათი; 16. გოჯი; 17. დიახ; 18. როიტერი; 19. ხორთუმი; 20. ფარა; 21. ნუბია; 22. ფლორა; 23. ბიანკა; 24. ფრე; 25. სტიქსი; 26. ბოისე; 27. ასფალტი; 28. დიდედა; 29. ტურინი; 30. ბოა; 31. ფატა; 32. ფოკუსი; 33. კოელიო; 34. მინდი; 35. ივ; 36. კრატერი; 37. კოკი; 38. იქსი; 39. რანტი; 40. ნემო; 41. ბუტკო; 42. საბვეი; 43. ეთნარქი; 44. ალაო; 45. ინტი; 46. ბელი; 47. ასტარტე; 48. ათი; 49. ლიე; 50. კაპრიო; 51. მენიუ; 52. კურიე; 53. კლიო; 54. ალიზი; 55. ტროა; 56. ია; 57. იური; 58. ლილუ; 59. ლილითი; 60. ალკკ; 61. პირს; 62. კუტი; 63. ორე.

მე-12 გვერდი: 1. მალაიზია; 2. პულპიტი; 3. მოზაიკა; 4. ლინდგრენი; 5. ირიდა; 6. უვერტიურა; 7. პიქტოგრამა; 8. ტარო; 9. უზანგი; 10. აურელია; 11. რონა; 12. პიქტოგრამა; 13. არაქათი; 14. არაქნე; 15. ყისმათი; 16. ვიაგრა; 17. ამენჰოტეპი; 18. გრეი; 19. კურო; 20. მექა; 21. ბუფონი; 22. არენა; 23. უჯრა; 24. მანე; 25. ამია; 26. არმა; 27. თუთა; 28. ბელი; 29. მნათე; 30. მერინოსი; 31. არისა; 32. როკადა; 33. იმუნიტეტი; 34. უკულელე; 35. არბიტრი; 36. ბმო; 37. მზაღო; 38. ფრაუ; 39. ნერონი; 40. ისტორია; 41. რინგი; 42. ადა; 43. „გზა“; 44. კლოუნი; 45. სანათა; 46. უკრაინა; 47. ნუნუ; 48. ეოლე; 49. სოს; 50. ადონაი; 51. კრესპო; 52. სტენდი; 53. აღუ; 54. კაა; 55. „დიელო“; 56. გატა; 57. არაქსი; 58. აბვერი; 59. უნაბი; 60. სბირი; 61. იო; 62. ილორი; 63. ემუ; 64. ბერეტი; 65. ონო; 66. პენტა; 67. ბზა; 68. ესო; 69. ულუსი; 70. რეი; 71. ხეა; 72. იფი; 73. ბონო; 74. ბაო; 75. არა; 76. ტარზანი; 77. ახო; 78. ლიმა; 79. სია; 80. ტოლედო; 81. უქმე; 82. იდიოტია; 83. ფორა; 84. ბრა; 85. კრატერი; 86. ტაო.

1. კენკროვანი მცენარე
2. ცნობილი რუსი მეიგავე
3. ფიგურატანსაცმლის საჩვენებლად
4. ვიტამინი B12
5. ყაზახეთის დედაქალაქი
6. ცალკეული მოძრაობა სპორტში
7. რესტორანი ესტრადით სფრანგეთში
8. მტკნარი წყლის დელფინი
9. ურთიერთთავდებობა მაფიაში
10. დაუშლელი გამოთქმა ამა თუ იმ ენაში
11. ხეებით დაფარული ვრცელი ადგილი
12. ინდონეზიური ჯუჯა კამეჩი
13. გულშემატკივართა შეზახილი კორიდაზე
14. იაპონელი რეჟისორი ... კუროსავა
15. ქალაქი ქვემო ქართლში
16. ჰოლივუდის ვარსკვლავი მიშელ ...
17. ძველი ათენის უმაღლესი სასამართლო
18. სატრფიალო კომედიის მუზა
19. პარაგვაული ჩაი
20. უზბეკეთის უძველესი ქალაქი
21. რაიმე საგნის განუყრელი ნიშანი
22. ტროს მეფის წინასწარმეტყველი ასული
23. მდინარისაგან გამომავალი წყარო
24. გოლიათი თუთიყუშებს შორის
25. ხელის გული თითებიანად
26. ამერ. მსახიობი ... კალკინი
27. პირველი კოსმონავტი ქალი
28. ლითონის ფული
29. სამეურ. მუშაკი
30. აშშ-ის შტატი
31. ინგლ. ფეხბურთელი ... შერერი
32. ბრაზილიის საფეხბ. კლუბი
33. გლადიატორთა სასპარეზო მოედანი
34. ციტრუსოვანი მცენარე, ლიმონის გენეტიკური „ნათესავი“
35. მდ. რუსეთში
36. კუ „ოქროს გასაღებში“
37. ცხენების ჯოგი
38. მშვილდით სასროლი ჯოხი
39. ილიკო ჩიგოგიძის ღორის სახელი
40. ვარდობისთვე
41. ცხენოსანი ჯარი ანტიკურ არმიაში
42. ბგერის გრაფიკული ნიშანი
43. „ქვინის“ გიტარისტი ბრაიან ...
44. მაროკოს დედაქალაქი
45. ეკლესია ისტორიულ ტაოში
46. პოეტური გამოცანა
47. ტბა ფინეთში
48. კორეული ავტომარკა
49. რბილსხეულიანი უძვლო ცხოველი
50. დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (შემოკლ.)
51. უუფლებო ადამიანი
52. ჰორიზონტ. ფიცარი ფანჯრის ქვეშ
53. იგივეა, რაც ჯანჯაფილი
54. თმის დასახვევი მილაკი
55. წამლის ბურთულა
56. სურათი ზღვის ხედით
57. ზეთოვანი მცენარე
58. ხევისბერი გონჩას ვაჟი
59. ვაზების მწკრივი ვენახში
60. არაბული ფლეიტა
61. მონასტერი ადიგენის რაიონში
62. თურქული მარგარინის მარკა
63. ქიმიური კავშირი
64. შხამიანი გომბეშო
65. ჩინური მაფია
66. უმცირესი სამნიშნა რიცხვი

„აიპოდის“ გამო საკუთარი ორგანო გაყიდა

ჩინელმა მოზარდმა, რომელიც ღარიბი ოჯახიდანაა, საოცნებო ნივთის შესაძენად საკუთარი თირკმელი გაყიდა. მე-10 კლასელმა ყმაწვილმა, საავადმყოფოდან დაბრუნებისთანავე აიპოდ-2 შეიძინა და ხურდაში აიფონიც მოუვიდა. ბიჭის მშობლებმა არაფერი იცოდნენ შვილის განზრახვის შესახებ, ამიტომ გაოცებულები დარჩნენ, როცა სახლში ახალი ტექნიკით დაბრუნდა. დედა დიდხანს ეცადა, შვილისთვის სიმართლე ეთქმევინებინა. როცა ბიჭმა ეს შოკისმომგვრელი ამბავი გაუმხილა, ქალი მაშინვე საავადმყოფოში წავიდა. თუმცა, იქ განუცხადეს, რომ ქირურგიული განყოფილება უცხოელს მიაქირავეს, მისი მოძებნა კი ძნელი აღმოჩნდა. გაირკვა, რომ 17 წლის ბიჭს თირკმელში 22 ათასი დოლარი გადაუხადეს.

ინგლისელ ქალებს „სათადარიგო“ კაცები ჰყავთ

ბრიტანელი მანდილოსნების ნახევარს „სათადარიგო მამაკაცი“ ჰყავს იმ შემთხვევისთვის, თუკი პარტნიორს ან მეუღლეს დაშორდება — ასეთი შედეგები აჩვენა ნისლიან ალბიონზე ცოტა ხნის წინ ჩატარებულმა გამოკითხვამ. სწავლულებმა ისიც დაადგინეს, რომ გათხოვილ ინგლისელებში უფრო მეტია „სათადარიგო ვარიანტის“ მფლობელი, ვიდრე სამოქალაქო ქორწინებაში მყოფებში. „მარაგში“ მყოფები კი, ძირითადად, არიან ყოფილი თაყვანისმცემლები, ქმრები, ასევე კოლეგები ან ნაცნობები სატრენაჟორო დარბაზიდან. „სათადარიგო მამაკაცის“ მფლობელი ყოველი მეოთხე ქალბატონი აღიარებს, რომ მის მიმართ ძლიერი გრძნობა აქვს. მათგან 12% იმასაც ამბობს, რომ „სათადარიგო“ უფრო მეტად იზიდავს, ვიდრე ქმარი ან პარტნიორი.

გასახდომად ფულს მთავრობას სთხოვს

დიდი ბრიტანეთის მცხოვრები ქალბატონს, რომელიც მარტოხელა დედაა და ორ შვილს ზრდის, ჭარბი წონა აწუხებს და ხელისუფლებისგან ითხოვს, მეტი თანხა გადაუხადონ, გარეგნობასა და ჯანმრთელობას რომ მიხედოს. არადა, 26 წლის დედა წელიწადში 20 ათას გირვანქა სტერლინგს იღებს. ჩემი ბრალი არ არის, ასეთი რომ ვარ, არ მყოფნის ფული ჯანსაღი საკვების შესაძენად, — აცხადებს ბრიტანელი, რომელსაც მედიკოსებმა განუცხადეს, რომ მისი ჯანმრთელობა საფრთხეშია. შემწეობის რაოდენობის გაზრდა, მისი აზრით, დამატებით სტიმულს მისცემს, რომ თავს მიხედოს. მუშაობა კი არ შეუძლია, რადგან 10 და 2 წლის შვილებს სახლში სჭირდებათ. ექსპერტები აცხადებენ, რომ არის შანსი, მარტოხელა დედის თხოვნა ჩინოვნიკებმა დააკმაყოფილონ.

სუდოკუ

ადვილი

	1	7	3	2				
				8	4			9
		3			5			
8		6		7				
3		5	4		8	9		6
				5		8		4
			5			2		
5			6	9				
				3	7	4	6	

სტანდარტი

		8	6	5	4			
	5							
3						9		
5			4				8	6
4	8			3			1	2
1	7				8			3
		7						8
							4	
			2	7	3	6		

რთული

			7	6		3	2	1
			3	2				5
				5	9		6	4
2						1	7	
				3				
	6	5						2
7	1		5	8				
6				1	2			
5	9	2		7	3			

ექსპერტი

	1	6	8			3		
		3		6				1
9							5	
8	6		1					2
	4						6	
1					2		8	5
	9							7
2				7		9		
		4			9	2	1	

ნიორი ფილტვის კიბოს წინააღმდეგ

ნიორი სპეციფიკური ბოსტნეულია, მაგრამ მის სასარგებლო თვისებებზე არავინ დავობს, ცოტა ხნის წინ კი სამხრეთ ავსტრალიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა იმის მტკიცებულებაც აღმოაჩინეს, რომ ნივრის მოხმარება ფილტვის კიბოს განვითარების რისკს 44%-ით ამცირებს. ამისთვის საკმარისია, ეს პროდუქტი დღეში ორჯერ მიიღოთ. აღსანიშნავია, რომ ნიორი ამ საშიში სენისგან მწეველებსაც დაიცავს. მისი რეგულარული მოხმარებისას მწეველებში ფილტვის კიბოს წარმოშობის რისკი 30%-ით მცირდება. ამ ოპტიმისტური დასკვნის ავტორთა მოსაზრებით, თანამედროვე მსოფლიოში ეს დაავადება ყველაზე ხშირად მწეველებს ემართებათ — სტატისტიკურად, სიგარეტი სიმსივნის განვითარების მიზეზი შემთხვევათა 80%-შია, ავთვისებიანი დაავადება კი ლეტალური შედეგით სრულდება. ავსტრალიელი სწავლულების აზრით, ნიორი შესანიშნავი პროფილაქტიკური საშუალებაა. ის ორგანისმს არა მხოლოდ ფილტვის კიბოს, არამედ ნაწლავის ონკოლოგიური დაავადებისგანაც იცავს. კონკრეტული მონაცემების მისაღებად სპეციალისტებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომელშიც 4,5 ათასი ჯანმრთელი და 1,5 ათასი დაავადებული ადამიანი მონაწილეობდა. შედეგად აღმოჩნდა, რომ ნივრის ყოველდღიური მოხმარება სასიკეთოდ აისახებოდა როგორც ჯანმრთელ, ასევე ავადმყოფ მოხალისეებზეც. მკვლევართა განცხადებით, ამის მიზეზი ნიორში არსებული ნივთიერება ალიცინია, რომელიც ორგანიზმზე ანთების საწინააღმდეგო გავლენას ახდენს და ანტიოქსიდანტის თვისებებიც აქვს. ნიორი უჯრედებს თავისუფალი რადიკალების მავნე ზეგავლენისგანაც იცავს. მეცნიერებმა ჯერჯერობით ვერ დაადგინეს, თერმულად დამუშავებული ნიორიც ასეთივე სასარგებლოა თუ არა.

უძილობა ასუქებს

ქრონიკული უძილობა ჭამის სურვილს ამძაფრებს და სიმსუქნეს იწვევს, — აცხადებენ ამერიკელი მეცნიერები. მათ ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის დროსაც 21 მოხალისეს ფუნქციონალური ტომოგრაფიის საშუალებით აკვირდებოდნენ. ამ პერიოდში კვირაში ერთი დღეღამე არ უნდა დაეძინათ, გამოკვლევა კი ერთ თვეს გრძელდებოდა. ვადის დასრულების შემდეგ უნდა აერჩიათ სურათები, რომლებზეც სხვადასხვა პროდუქტი იყო გამოსახული. შედეგად აღმოჩნდა რომ მოხალისეები იმ ფოტოებს ირჩევდნენ, რომელზეც მაღალკალორიული საკვები იყო ნაჩვენები. სწავლულები აცხადებენ, რომ ძილის უკმარისობამ, შესაძლოა, მოულოდნელი ფსიქიკური ეფექტი გამოიწვიოს: ჰალუცინაცია, მეხსიერების დაკარგვა, რეალობისგან მოწყვეტა. მედიკოსები ცუდ ძილს ინსულტის, სიმსუქნისა და ჰიპერტონიის მაპროვოცირებლად მიიჩმევენ. სტატისტიკის მიხედვით, გავითარებული ქვეყნების მოსახლეობის 10% უძილობას უჩივის.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ინსულტი ადამიანის მორალურ პრინციპებს ცვლის

არგენტინელი სწავლულები ნევროლოგიის ინსტიტუტიდან ერთ საინტერესო დასკვნამდე მივიდნენ — ინსულტის შემდეგ ბევრ პაციენტში ფასეულობათა გადაფასება მიდის, ადამიანი იცვლის პირვანდელ აზრს ამა თუ იმ მოვლენასა და სხვათა ქმედებაზე. სპეციალისტების ექსპერიმენტი პირველია ამ სფეროში, რომელიც სამყაროსა და მორალურ პრინციპებზე ინსულტის გავლენას აჩვენებს. ბუენოსაირესელი მკვლევარების ცდებმა აჩვენა, რომ დარღვევები ტვინში გავლენას ახდენს ადამიანის შეხედულებაზე. ინსულტის შემდეგ, რომელიც ტვინის ფრონტალურ ნაწილს შეეხო, პაციენტები ხშირად პატიობდნენ სხვებს შეცდომებს და უფრო ლოიალურები იყვნენ, ვიდრე ადრე.

ასპირინი სიმსივნის წინააღმდეგ

სპეციალისტები ხშირად ლაპარაკობენ, რომ ანთებისსაწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები, მაგალითად, ასპირინი სისხლს ათხელებს და გულს ეხმარება მის გადაქაჩვაში. ამის გამო მილიონობით ადამიანი ყოველდღიურად იღებს ასპირინის დაბალ დოზას ინსულტისა და ინფარქტის თავიდან არიდების მიზნით. აღმოჩნდა, რომ ეს პრეპარატი, ასევე აქვეითებს მსხვილი ნაწლავის, ფილტვების, სარძევე და წინამდებარე ჯირკვლების კიბოს განვითარების რისკს. ვანდერბილდის უნივერსიტეტის სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ასპირინის ყოველდღიური ზემოქმედება ხუთი და მეტი წლის განმავლობაში აქვეითებს ყველანაირი სიმსივნური წარმონაქმნის განვითარების რისკს 38%-ით. გამოკვლევაში მონაწილეობა 6300-მა მამაკაცმა მიიღო, მათი ნახევარი ასპირინსა და ანთებისსაწინააღმდეგო სხვა პრეპარატებს იღებდა, დანარჩენები კი არა. ოთხი წლის მერე აღმოჩნდა, რომ პირველ ჯგუფში პროსტატის კიბოს განვითარების რისკი 13%-ით ნაკლები ჰქონდათ, ვიდრე იმ მამაკაცებს, რომლებიც ამ პრეპარატებს არ იღებდნენ. რაც შეეხება კიბოს სხვა საშიშ ფორმებს, მათი რისკი 17%-ით იყო შემცირებული.

1. წერილობითი ხელშეკრულება
2. ეკონომიკური ფორუმით ცნობილი ქალაქი შვეიცარიაში
3. „სათვალიანი“ გველი
4.სიმინდის შესანახი ნაგებობა
5.ესპანური ფეხბურთის გრანდი
6. პედაგოგიკის ნაწილი
7. (ლათ.) შეძახილი „გაუმარჯოს!“
8. მდინარე პარიზში
9. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე
10. ხელით ნაქსოვი კედლის ხალიჩა
11. საკონდიტრო ნაწარმი
12. საბჭო ოსმალეთის სულთნის კარზე
13. სამხედრო წოდება
14. დიდი ცრემლი
15.მიმართვა სკანდინავიელი ქალბატონისადმი
16. წყვილი ერთიანი კამათელზე
17. გერმანიის ისტორიული ოლქი
18. ყირგიზეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი
19.ფქვილის გაცრის შედეგად დარჩენილი მასა
20.დანიური წარმოშობის რუსი ზღვაოსანი
21. აფრიკული შხამიანი ბუზი
22.კუნძულოვანი ქვეყანა ტრინიდადი და ...
23. ბიბლიური პერსონაჟი
24.სოფლური ქოხი შვეიცარიის ალპებში
25. გარდამავალი ჯილდო სპორტში
26. კათოლიკეთა მღვდელი
27. ინგლისური ფართობის ერთეული
28.ქარების მბრძანებელი
29.მსახიობი ანუკ ...
30. სპორტული „სასრიალო ფიცარი“
31. ყვავილების „კონა“
32. პიპინია ერისთავის ძაღლი
33. კრივის მოედანი
34. ინგლისური ავტომარკა
35.ქარისაგან ჰაერში ატანილი თოვლი
36. სამკურნალო მცენარე
37. რკინისა და ნიკელის შენადნობი
38. მარცვლოვანთა ოჯახის მცენარე
39. ბალზაკის „მამა ...“
40. მთა თბილისში
41. ფრანგი მწერალი-მორალისტი
42.ესპანელი რევოლუციონერი ქალი
43.„დაწე, დაუშვი!“ დოკერების სლენგზე
44. მზის აბაზანების მისაღები ადგილი
45. წერილის მოძველებული სახელწოდება
46. სტენდალის ნამდვილი გვარი
47. პირისახის ძვალი
48.დიოგენეს „ბინა“
49.კუნძული ოკეანიაში
50. ჩინელ კომუნისტთა ბელადი
51. ქალის გრძელი და ვიწრო ყელსახვევი
52. ჩვილი ბავშვის „პირველი სიტყვა“
53. ინდონეზიის კუნძული
54.ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
55. მოლეკულის შემადგენელი ნაწილი
56. არტემიდეს და აპოლონის დედა
57. რომის პაპის გვირგვინი
58. მოყავისფრო ჭრელი
59. სახელმწიფო აფრიკაში
60. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
61. იტალიელი ნობელიანტი დრამატურგი
62. არჩილ სულაკაურის ზღაპარის პერსონაჟი
63.ქართული პოეზიის დედოფლის სახელი
64. კვანძოვანი დაწნულობის ტექნიკა
64.მუსიკალ. ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი
66. თეთრი ლაქა თვალის გუგაზე
67. შრეკის მიერ გადარჩენილი პრინცესას სახელი
68. ყურის ანთება
69. ჩინური ტანვარჯიში
70. გადამდნარი კარაქი
71. ბევრ ცხიმში შემწვარი კარტოფილი
72.ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მოქმედების სრული დაქვითება
73.კომპოზ. ... მორიკონე
74. ხრიკი, ფანდი
75.წმინდანად შერაცხული ბიზანტიის იმპერატორი
76. პიტალო კლდე
77. ინდუისტურ მითოლოგიაში, ღვთაება შივას საცოლე
78. ძვ. ფრანგული ხურდა ფული
79. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
80. ქალაქი საფრანგეთში, მდინარე სენაზე
81. მხარე დასავლეთ საქართველოში
82. ლონდონის საქმიანი ცენტრი
83. სასწორის თეფში
84. უძველესი ქალაქი შუამდინარეთში
85. იაპონიის კუნძული
86. ორთოპედიული ჯოხი სიარულის დროს დამატებითი საყრდენის შესაქმნელად

ფუტკრის ნაკბენმა სქესი შეუცვალა

აშშ-ს ოჰაიოს შტატში მცხოვრებ მამაკაცს ფუტკრის ნაკბენმა ცხოვრება რადიკალურად შეუცვალა. ტედ პრონსის სხეულში გარკვეული პერიოდის განმავლობაში საოცარი ცვლილებები მოხდა — ორგანიზმში მკვეთრად დაეცა მამაკაცის ჰორმონის — ტესტოსტერონის დონე, კანი ნაზი გაუხდა, სხეულის ფორმაც შეეცვალა და შედეგად ქალად გადაიქცა. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ფუტკრის ნაკბენმა იშვიათი გენეტიკური გადახრა — კლიანფელტერის სინდრომი გამოიწვია. ჩვეულებრივ, ეს დაავადება თანდაყოლილია, ამ შემთხვევაში კი ფუტკრის შხამის „დამსახურებაა“. სქესის შეცვლას მამაკაცი დიდად არ დაუღონებია, პირიქით, შესაფერისად ჩაიცვა და სახელიც კი გადაირქვა. ცოლი აცხადებს, რომ კვლავ მის გვერდით იქნება და გაყრას არ აპირებს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.